# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 10 ივლისი 2007 №156 (3079) ფასი 50 თეთრი



## საინტერესო შემოთავაზება მოსალოდნელი პასუხით

# ამერმა ვლასტიმილ პეტრჟელა იუარა!



# ბარსელონური შეტევა დაცვას

## რა ტაქტიკით ითამაშებს კალაძე?

კახა კალაძის და „ბარსელონას" თემა დღითიდღე აქტუალური ხდება. გუშინ გაირკვა, რომ კატალონიელებმა თითქმის ჩაიქნიეს ხელი სარაგოსელ გაბრიელ მილიტოზე, რომელსაც თავისი კლუბი 22 მილიონ ევროდ აფასებს. ესპანური გაზეთების ცნობით, „ბარსა" ამხელა თანხის გადახდას არ აპირებს, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ახლა ამ გრანდის სამიზნე საქართველოს ნაკრების კაპიტანია. აკი გუშინაც გამცნეთ, რომ „ბარსელონას" სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი დღე-დღეზე აპირებს ქართველი მცველის ტრანსფერის თაობაზე „მილანთან" მოლაპარაკებების დაწყებას.

ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება ეს ისტორია, თუმცა ის კი ფაქტია, რომ კალაძე ბარსელონელებს უკვე ძალიან სურთ... თან არგენტინელ მილიტოს გული უფრო ტურინის „იუვენტუსისკენ" მიუწევსო...

# ფრთიანი ამბავი




## მადრიდის რეალმა ქერა ანგელოზი წარადგინა სამეფო გუნდს ბერნდ შუსტერი უთავებს





ASSOCIATION ECHANGES SPORTIFS INTERNATIONAUX

E.S.I Association Loi de 1901

UEFA Losenicky AGENT DE MATCHES LICENCIE LICENSED MATCH AGENT

29, rue Maurice Thorez 76700 GONFREVILLE L'ORCHER FRANCE

TEL. 33 235 51 40 83 FAX 33 235 45 12 83

Email LOSENICKYESI@AOL.COM

Gonfreville l'Orcher FRANCE 1st July 2007

subject : information for Mr President and General Manager

Dear Mr President,

We are from International sports Association in France.
*Mr Alexander LOSENICKY Junior – conversation possible in French, English and Czech language and Mr LOSENCKY Hugo, UEFA agent with conversation possible in French, English, Czech and Russian language.*

We are working for Mister Vlastimil PETRZELA, Czech nationality Coach, former Head coach of *FC SPARTA PRAGUE / FC SLAVIA PRAGUE / FC SLOVAN LIBEREC / FC BOHEMIANS PRAGUE* and latest Head coach of FC ZENIT SAINT PETERSBURG in Russia. (3 years contrac.). He plays with *ZENIT* football club in three years always in UEFA Cup competition and in season 2005 / 06 he was in ¼ final with the Winner FC Sevilla.
Mr Petrzela speak perfectly Russian language and actually he ended his contract and is free of any engagement.
If you'll be interested in our offer, we are at your disposal for any information you may require.
We thank you very much and look forward to receiving your kind answer.

Mr LOSENICKY
0033 6 80 42 14 05



# გმადლობთ, მაგრამ...
## ამერმა პეტრჟელა თავაზიანად გაისტუმრა

**საინტერესო** ამბავი „ამერიდან“. კლუბმა საფრანგეთის სპორტის საერთაშორისო ასოციაციიდან, უფრო კონკრეტულად კი, უეფას ლიცენზირებულ აგენტ ალექსანდრ ლოსენისკისგან ფაქსი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ ცნობილი ჩეხი მწვრთნელი ვლასტიმილ პეტრჟელა ამჟამად უმუშევარია და სურვილის შემთხვევაში, „ამერს“ მასთან მოლაპარაკების დაწყება შეუძლია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ლოსენისკი პეტრჟელას აგენტია ამ მწვრთნელის სამსახურს საქართველოს თასის მფლობელებს სთავაზობს.

ფაქსში ვკითხულობთ, რომ ვლასტიმილ პეტრჟელა თავის დროზე მუშაობდა ჩეხეთის „სპარტაში“, „სლავიაში“, „ლიბერეცში“ და „ბოჰემიანსში“. ბოლოს კი სამი სეზონი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ თავკაცი იყო. რუსები პეტრჟელამ 2005-06 წლების უეფას თასის გათამაშების მეოთხედფინალამდე მიიყვანა, სადაც „ზენიტმა“ თასის მომავალ მფლობელ „სევილიასთან“ წააგო. ჩეხი მწვრთნელი ჩინებულად ლაპარაკობს რუსულად, დღეს თავისუფალია და შესაძლებელია, მასთან სათანამშრომლოდ მოლაპარაკებების დაწყება. ასეთი სურვილის შემთხვევაში, პეტრჟელაზე დაწვრილებით ცნობებს მოგაწვდით.

დაგვეთანხმებით, საინტერესო ამბავია, ქართულ კლუბს ასეთი წინადადებით რომ მიმართეს. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, კომენტარისთვის „ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას მივმართეთ...

— ცხადია, სასიამოვნოა, ასეთი შემოთავაზება რომ მივიღეთ. ვლასტიმილ პეტრჟელა მართლაც ძლიერი და კარგი სპეციალისტია და მადლობის მეტი რა გვეთქმის, როცა მან და მისმა აგენტმა ჩვენი კლუბის მიმართ ასეთი ინტერესი გამოიჩინეს. დღესდღეობით კი „ამერში“ მწვრთნელის საკითხი არ დგას — ჩვენ გვყავს მწვრთნელი, რომელიც წარმატებით მუშაობს და იმედია, კიდევ უკეთესი შედეგები ექნება. მოკლედ, ამ ეტაპზე ვლასტიმილ პეტრჟელასთან დაკავშირებულ წინადადებას არ განვიხილავთ...

**კობა ინასარიძე**



# რაღაცა ხდება...
## ზესტაფონიდან მახარაძეც მიდის?

**ყაზახურ** „ტობოლთან“ ინტერტოტოული მარცხის შემდეგ „ზესტაფონში“ ცოტა აირია სიტუაცია. არა, გუნდი ჩვეულებრივ ფინანსდება, მაგრამ ჯერ ბექა გოცირიძისა და გიორგი ჭელიძის გუნდიდან წასვლა იყო მოულოდნელი, გუშინ კი შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონის“ დატოვებას თემურ მახარაძის თანაშემწე პაატა ლურსმანაშვილიც აპირებს — იგი გუნდს ურეკის შეკრებაზეც არ ახლავს.

ზესტაფონში გავრცელებული ხმებით, შესაძლოა, თემურ მახარაძემაც დატოვოს გუნდი — იმაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ გადაწყვეტილ-დამტკიცებული ჯერ არაფერია.

მოკლედ, „ზესტაფონში“ საკმაო ცვლილებებია მოსალოდნელი და დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**ლუკა თალაკვაძე**

### შვედეთი
**ალსვენსკა. XIII ტური**

გაის 3:1 ტრელებორგი
გეფლე 1:1 ბრომაპოიკარნა
აიკ 0:1 ელფსბორგი

### ამხანაგური მატჩები

ვისლა 2:0 უნივერსიტატია
მაინცი 1:1 პაიდუკი

### ფინეთი
**ვეიკაუსლიგა XIII ტური**

ჰაკა 3:3 ჰიკ

### ირლანდია
**პრემიერლიგა XVII ტური**

ბოჰემიანსი 2:0 ბრეი

# არავითარი რევანში

**გუშინ** თბილისის „დინამომ“ გერმანული შეკრების ბოლო ტესტ-მატჩი გამართა და ძველი მეტოქე, იენის „კარლ ცაისი“ 1:0 დაამარცხა.

ერთადერთი გოლი 24-ე წუთზე ჯორჯ აკირემის პასით გიორგი მერებაშვილმა გაიტანა.

აკირემი ვახსენეთ და, სავარაუდოდ, ეს გაბონელი თავდამსხმელი „დინამოში“ დარჩება, დუშან უჰრინის ის ძალიან მოსწონებია, ისევე, როგორც მეკარე დიდიე ოვონო, რაზეც ადრეც გაუწყეთ.

გუშინდელ მატჩში მწვრთნელზე კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია რომან დობეშსაც, რომელიც ორიოდ დღის წინ შეუერთდა „დინამოს“.

თბილისელებთან შეხვედრამ იენელების დიდი ინტერესი გამოიწვია და მატჩს 4 ათასამდე ქომაგი დაესწრო.

პირველ ტაიმში დინამოელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო, მასპინძლებს კი ერთი მომენტი ჰქონდათ — „კარლ ცაისის“ ქართველმა ახალწვეულმა გიორგი ონიანმა თავით ოდნავ ააცილა კარს.

მატჩის ბოლოსკენ გერმანელთა უპირატესობა გამოიკვეთა — მათ ალბათ ძალიან უნდოდათ 1981 წლის თასების თასის ფინალში უფროსი თაობის მარცხი „გამოესწორებინათ“ და შმაგადაც შეუტიეს ჩვენების კარს.

დამხვდურთა ხისტ თამაშს უტრავმებოდაც არ ჩაუვლია — დავით დიღმელაშვილმა და დავით ოდიკაძემ თამაში ვეღარ გააგრძელეს.

ბოლოსკენ კი ოვონომ რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია, ამაში ერთხელ ძელიც წაეხმარა და საბოლოოდ მოგება „დინამოს“ დარჩა.

ისე ჩანს, „კარლ ცაისს“ „დინამოსთან“ გამარჯვება აღარ უწერია...

შემადგენლობები ასეთი იყო:

*დინამო: ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, ზელიჩი, დობეში, კობახიძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი (ხუციშვილი 35), ოდიკაძე (ფირცხალავა 73), მერებაშვილი, აკირემი (სპასოევიჩი 73).*

*კარლ ცაისი: იენსენი, ჰოლცნერი, ომოდიაგბე, ონიანი, ჰიდენრაიხი (შული 67), ჰანსენი (კუნე 67), ლორენცონი (ვიუნშერი 46), ფრიოლიხი (ტაპალოვიჩი 67), ზიგნერი, ვერნერი (ფარდიადი 67), ალაგეა*

**კახა ზალამბერიძე**

# პატარა იაშვილი სიონის კარში
## ბობოხიძე აზერბაიჯანში ვარჯიშობს



ნოდარ აკობია

**ბოლნისის** „სიონმა“ სამი დღის წინ დაიწყო ვარჯიში, კიდევ რამდენიმე დღე ბოლნისშივე მოემზადება, მერე კი ორკვირიან შეკრებაზე წავა ურეკში. გუნდში რამდენიმე ახალბედა ფეხბურთელი ვარჯიშობს, მათგან ასე თუ ისე ცნობილი თელავის „კახეთის“ მეკარე გიგა იაშვილია — სანდრო იაშვილის ძმა. დაიტოვებს თუ არა „სიონი“ გიგას, ჯერ არაა გადაწყვეტილი, თუმცა, სავარაუდოდ, ასე მოხდება.

ბოლნისელებს მიხეილ ბობოხიძის შეძენაც სურთ, რომელიც თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, ახლა კი ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კლუბთან ერთად ვარჯიშობს.

„სიონის“ ახალი თავკაცის, ნოდარ აკობიას თანაშემწედ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგი ყიფშიძე დაინიშნა — ბოლო წლებია, ყიფშიძე ან გუნდის მთავარი მწვრთნელი, ანაც ასისტენტია. მეკარეებს კი კვლავაც დავით ასლანაძე გაწვრთნის.

**ილია ნანობაშვილი**

# ლევან კობიაშვილი: შარშანდელის გამეორებას არ ვაპირებ




ლევან კობიაშვილი და „შალკე“ ავსტრიულ შეკრებაზე არიან, სადაც ტესტ-მატჩების სერია აქვთ. „ხუმარების“ მწვრთნელმა მირკო სლომკამ რამდენიმე ფეხბურთელს დამღლელი სეზონის გამო არდადეგები გაუგრძელა და მათ შორის ჩვენიანიც მოხვდა. კობიმ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა „შალკეში“. გუშინ ლევანს ავსტრიაში შევეხმიანეთ...

— დღეში სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, მომქანცველია, მაგრამ ფორმაში ჩასადგომად საჭიროა.

— სამჯერადი ვარჯიში ცოტა იშვიათობაა. „შალკეში“ ადრეც გქონიათ?

— ეს ერთი კვირა ასეა, მერე კი ნელ-ნელა შემცირდება დატვირთვები.

— საკონტროლო მატჩში ითამაშე, სადაც შეცვლაზე შეხვედი...

— გერმანიის მეოთხე ლიგის გუნდს ვხვდებოდით, საინტერესო მატჩები კი ახლა გველის — ხვალ დანიის ჩემპიონ „კოპენჰაგენს“ ვეთამაშებით, კვირის ბოლოს კი ინგლისურ „მიდლსბროს“. რაც შეეხება, გასულ თამაშს, მწვრთნელმა ცენტრალურ ნახევარმცველად შემიყვანა შეცვლაზე.

— როგორ ატყობ, მომავალ სეზონში უმეტესად რა პოზიციაზე გათამაშებენ?

— ყველამ იცის, რომ ნახევარდაცვის ცენტრში უკეთ გამოვიყურები. ჯერ დაპირებები ადრეა, სეზონის დაწყებამდე საკმაო დროა და მწვრთნელი გადაწყვეტს, რა როგორ იქნება.

— „შალკემ“ მხოლოდ ერთი ნახევარმცველი იყიდა, ისიც შემტევი. წესით, ძირითადში მოხვედრა შარშანდელივით აღარ უნდა გაგიჭირდეს...

— თუ სუსტად ითამაშებ, აზრი არა აქვს, გამოცდილია თუ გამოუცდელი შენი კონკურენტი, მაინც სკამზე დაგსვამენ. მთავარია, ფორმაში ვიყო და ჯანმრთელობამ არ დამღალატოს. ისე, შესაძლოა, „შალკეში“ კიდევ იყოს ტრანსფერები, არ გამოვრიცხავ ახალი ნახევარმცველის მოყვანასაც.

— მიზანი კი, ალბათ, ბუნდესლიგის ჩემპიონობაა...

— „შალკეს“ გერმანიაში სხვა მიზანი არა აქვს: ჩემპიონობა ან, სულ მცირე, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება. ასე იყო შარშანაც, მაგრამ როგორ დავკარგეთ პირველი ადგილი, დღესაც არ მჯერა...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფიფა საქართველოსაც გეგმავს

**2-7 ივლისს მოსკოვში ჩატარდა მსაჯთა და მსაჯთა ინსტრუქტორთა ლიცენზირების მოსამზადებელი სემინარი, რომელიც ფიფას პროგრამით გაიმართა. ფიფა ასეთ სემინარებს სხვადასხვა რეგიონებში ატარებს — მოსკოვის სემინარზე კი თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი, მათ შორის, ორი საქართველოდან — ვეტერანი მსაჯი ანატოლი მილჩენკო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების უფროსის მოადგილე ავთანდილ შალამბერიძე. სემინარის შემდეგ ორივეს ფიფას ლიცენზია გადაეცა...**

„სემინარს ფიფას ინსტრუქტორი, პორტუგალიელი ვიტორ მელო პერეირა ატარებდა. მის გარდა გამოცდილება გაგვიზიარეს ნიკოლაი ლევნიკოვმა და ვალერი ჩუხრიმ, რომელიც თანამეგობრობის ქვეყნებში ფიფას ოფისის ხელმძღვანელია — გვითხრა ავთანდილ შალამბერიძემ — ფიფას მიზანია, ყველა ქვეყანაში მაღალკვალიფიციური მსაჯები იყვნენ და მათი მომზადების ინსტრუქტაჟიც მაღალი დონეზეა. ჩვენს გარდა სემინარს ესწრებოდნენ ისეთი ცნობილი ინსტრუქტორები, ალექსეი სპირინი და ვადიმ ჟუკი რომ არიან. დაგვირიგეს ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, საგანგებო ბუკლეტები, სადაც დეტალურად არის აღწერილი ინსტრუქტორთა მომზადების პროგრამა...

–დაგვავალეს, სეზონის წინ აუცილებლად ვესაუბროთ კლუბებს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს, ჟურნალისტებს და გავაცნოთ მათ საფეხბურთო წესები. ხშირად ამ წესების უცოდინრობის გამო გუნდებს უკმაყოფილონი არიან, გულშემატკივრები და ჟურნალისტები მსაჯის გადაწყვეტილებას სწორად ვერ აფასებენ. ასეთი რამეები ყველგან ხდება და ფიფას სურს, ეს პრობლემა უმტკივნეულოდ მოაგვაროს...

–ყველა ქვეყანას თავისი პროგრამის პრეზენტაცია ჰქონდა. პირადად მე წავიკითხე პროგრამა მსაჯისა და ასისტენტის სწორ და სწრაფ თანამშრომლობაზე...

–სასიამოვნოა, რომ მილჩენკო უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ მიიწვია სემინარის ჩასატარებლად. შესაძლოა, ასეთი სემინარი სომხეთის ან აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით მეც ჩავატარო — ეს საკითხი მოლაპარაკების სტადიაშია...

–ფიფა სემინარს საქართველოშიც გეგმავს — 27-30 ნოემბერს ფიფადან ინსტრუქტორი გვეწვევა“.

ფიფას ინსტრუქტორთა რჩევების გატარებას ფედერაცია დაუყოვნებლივ აპირებს, 22 ივლისიდან კი მსაჯები შეკრებას იწყებენ. ისინი ახალი ჩემპიონატისთვის ქობულეთში მოემზადებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შარშანწინდელიც კი ახსოვს

## ლუის ვან გაალი: არველაძის აიაქსი არ მჯერა



შოთა არველაძის „ალკმაარიდან“ წასვლა რომ თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, ეს უკვე ცნობილია. ჩვენიანი ახალ კლუბს არჩევს და წინადადებებიც მრავლად აქვს, თუმც დაახლოებით ერთ კვირაში გადაწყვეტს, სად გააგრძელებს კარიერას. ერთ-ერთი სავარაუდო ვარიანტი კი ამსტერდამის „აიაქსია“.

„ალკმაარის“ მწვრთნელი ლუის ვან გაალი კი ამბობს, ძალიან გამიკვირდება, შოთა „აიაქსში“ რომ გადავიდესო...

„ასეთი ხმები მეც გავიგე. ძალიან არ მინდა, რომ არველაძემ სხვა ჰოლანდიურ კლუბში გააგრძელოს თამაში. ორი წლის წინ, როცა ქართველი ჰოლანდიაში მოდიოდა, „აიაქსმა“ მის შეძენაზე უარი თქვა და შოთას ხასიათი რომ ვიცი, იგი ამსტერდამელთა წინადადებას ამიტომაც არ მიიღებს“.

**ილია ნანობაშვილი**

# მახსოვს ცარიელი თბილისი...

**რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა და სამარის „კრილია სოვეტოვის“ საუკეთესო ბომბარდირი დავით მუჯირია, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა. ჩემპიონატში პაუზისას ფეხბურთელები შვებულებაში იყვნენ და სამარაში დაბრუნებისთანავე მუჯირი ჟურნალისტებმა მოიხელთეს...**




„სამი-ოთხი დღე მქონდა თავისუფალი და ოჯახთან ერთად გავატარე. როგორც იქნა, სავიზო პრობლემები მოაგვარეს მეუღლემაც და ბავშვებმაც და სამარაში ჩამოვიყვანე. ოთხი თვე ვცდილობდი ამის გაკეთებას და მხოლოდ ახლა მოვახერხე“ — განაცხადა მუჯირმა.

იმის მიუხედავად, რომ მუჯირი გუნდის ლიდერად ითვლება, თავის თამაშით მაინც უკმაყოფილოა. მუმუ არც იმას აქცევს ყურადღებას, რომ სადღეისოდ გუნდის საუკეთესო ბომბარდირია და ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე დენის კოლიდინს მხოლოდ ორი ბურთით ჩამორჩება...

„მე ისეთი პიროვნება ვარ, რომ საკუთარ თავს სულ უფრო მეტს ვთხოვ, მაშინაც კი, როდესაც მეუბნებიან, რომ კარგად ვითამაშე, მაინც ვეძებ შეცდომებს. ამბობენ, რომ წლეულს ისე ვერ ვთამაშობ, როგორც შარშან. არც ის ფაქტი მსიამოვნებს, რომ მწვრთნელი თითქმის ყველა მატჩში მცვლის, მაგრამ ეს ფეხბურთია და მან უკეთ იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს. ყველა ელის, რომ მუჯირმა ისე ითამაშოს, როგორც შარშან, მაგრამ ჩემი აზრით, ცუდი სეზონი არ მაქვს. პირველ წრეში თითქმის იმდენი გავიტანე, რამდენიც გასულ სეზონში (შარშან მუჯირმა პრემიერლიგაში 5 ბურთი გაიტანა). მართალია, ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ეს ხომ სულ ასეა. სულ მინდა, უკეთ და უკეთ ვითამაშო და ვეცდები, კიდევ უფრო მოვუმატო...

–გოლები ვახსენე და წლეულს უკვე 4 დამიგროვდა. ეს ცოტაა, მაგრამ თავად ჩემპიონატი ისეთია, ძნელია გატანა. ვინ არის პირველ ადგილზე? კოლიდინი, მის ანგარიშზე ექვსი ბურთია და ყველა პენალტით — არ არის კურიოზული?

–საერთოდ, ბომბარდირობა ჩემთვის წინა პლანზე სულაც არ დგას, ჩემი მიზანი გუნდზე თამაშია. მის ინტერესებს უფრო წინ ვაყენებ, ვიდრე პირადულს“ — ამბობს მუჯირი.

ქართველი ფეხბურთელი შანსებზეც საუბრობს, გულშემატკივრებზეც და იმასაც იხსენებს, უმაყურებლოდ რომ უთამაშია...

„რამდენჯერმე გავუშვით ხელიდან გალიდერების შანსი. მართალია, ჩვენთვის ჩემპიონობა არავის მოუთხოვია, მაგრამ თავში რომ ხარ სხვაა. უეფას თასზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ. 22 ქულა 15 მატჩში ცოტაა, მაგრამ ჩემპიონატი ძალიან დაძაბულია. ამ მაჩვენებლით მესამე-მეოთხე ადგილებზე ვართ, რაშიც დიდი წვლილი მაყურებელსაც მიუძღვის. გულშემატკივარი ჩვენი სტიმულია, მათ მაშინაც უნდა იხმაურონ, როდესაც ვაგებთ. ძალიან ძნელია უმაყურებლოდ თამაში. მახსოვს, უკრაინის ნაკრებთან 1:1 ვითამაშეთ თბილისში, მაყურებელთა ქცევის გამო უეფამ დაგვსაჯა — ფეხბურთელისთვის კი იმაზე მეტი სასჯელი არაფერია, რომ ცარიელი ტრიბუნის წინ თამაშობს“ — დასძინა მუჯირმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ეროვნულ ნაკრებში თამაში თამაშით უნდა დავამტკიცო

## დავით გამეზარდაშვილი: სხვის ტრავმას ვერასოდეს ვინატრებ



რიგის „სკონტოს“ ქართველი მცველი დავით გამეზარდაშვილი მყარად ჩაჯდა ლატვიური გუნდის ძირითადში. არადა, შარშან რიგელებმა გამეზარდაშვილი ქუთაისის „ტორპედოში“ გაანათხოვრეს, სადაც იმდენად კარგად ითამაშა, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ურუგვაის ნაკრებთან მატჩისწინა შეკრებაზე უხმო. მას შემდეგ გამეზარდაშვილი არავის გახსენებია. ერთადერთი, ვინც ჩვენებურს ბოლომდე ენდობა, „სკონტოს“ ინგლისელი მწვრთნელი პოლ ეშუორტია. ბრიტანელი სპეციალისტი კმაყოფილია ქართველის თამაშით და ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევს. გამეზარდაშვილიც ნელ-ნელა უმატებს და ბოლო ტურში „ოლიმპსს“ გოლიც გაუტანა...

— სტანდარტული მდგომარეობისას შეტევებში ვერთვები ხოლმე. „ოლიმპსთან“ მატჩამდე რამდენჯერმე მქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ არ მიმართლებდა. როგორც იქნა, ნავსი გავტეხე და გავიტანე.

— ლატვიის ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანე. ისე, „სკონტოში“ ადრეც გაგიტანია — საკონტროლო მატჩში პენალტი შეაგდე...

— ეს სეზონის დაწყების წინ იყო. ისე, პენალტებს „ტორპედოშიც“ ვურტყამდი.

— ჩემპიონატში კი თერთმეტმეტრიანი არ დაგირტყამს...

— გუნდში გამოკვეთილი პენალტისტი არავინაა, თუმც რატომღაც მწვრთნელს ჩემთვის ჯერ არ უთქვამს, დაარტყიო.

— ეშუორტი შენი და ზაალ ელიავას თამაშით კმაყოფილია?

— ჩემზე რა გითხრათ, ზაალი კი მართლაც კარგად თამაშობს და მწვრთნელიც კმაყოფილია. ერთადერთი, რაც მას აბრაზებს, ისაა, რომ ელიავას სხვადასხვა კლუბებიდან ეპატიჟებიან.

— რამე კონკრეტული ხომ არაფერია?

— ზუსტად არ ვიცი, რამდენიმე წინადადება აქვს და სწორი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. ეს თავადაც კარგად იცის.

— შენ ხომ არ გაქვს რაიმე ვარიანტი?

— ჯერჯერობით არაფერი.

— ურუგვაისთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრებშიც იყავი გამოძახებული. მას შემდეგ ნაკრების მწვრთნელები ხომ არ შეგხმიანებიან?

— სამწუხაროდ, არა. ურუგვაისთან მატჩის შემდეგ აღარავის გავხსენებივარ.

— ნაწყენი ჩანხარ...

— ეს უკვე გადავიტანე. ვითამაშებ და შევეცდები, ჩემი შრომისმოყვარეობით მწვრთნელებს თავი შევახსენო. სიმართლე გითხრათ, არც ისეთი გამოძახება მინდა, ურუგვაისთან რომ მოხდა. სხვისი ტრავმის ან ავადმყოფობის მოსურნე არასდროს ვიქნები — თუ ღირსი ვარ, თამაშით უნდა დავამტკიცო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჩემპიონატი ნახე, ნაკრები ისე გამონახე

## თემურ ქეცბაია: ღვთის გარეშე არაფერი ხდება

14 ივლისს კვიპროსზე გამოსათხოვარ მატჩს ჩაატარებს თემურ ქეცბაია — ფეხბურთელი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ნაკრების ლიდერი და ჯიგრიანი თამაშით გამორჩეული იყო. საწყენი კია, ქეცბაიას გამოსათხოვარ მატჩს კვიპროსზე რომ უწყობენ და არა საქართველოში...

ფამაგუსტის „ანორთოსისის“ ქართველ თავკაცს აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრეთ...

— ამ მატჩისთვის საქართველოდან ჩამოვლენ გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, რეზო და არჩილ არველაძეები. აგრეთვე სამი ყოფილი ნიუკასლელი — რობერტ ლი, ნიკოს დაბიზასი და ჯონ ბარტონიც ითამაშებენ. იქნებიან ჩემი ყოფილი თანაგუნდელები აეკ-იდან და „ანართოსისიდან“.

— 14 ივლისს, როგორც ფეხბურთელი, კარიერას ასრულებთ. როგორ აფასებს თემურ ქეცბაია თავის კარიერას?

— ძალიან დიდი გზა გავიარე. ყველას გვახსოვს, რა პერიოდიც იყო საქართველოში. მაშინ სხვა გამოსავალი არ მქონდა, ქვეყანა უნდა დამეტოვებინა და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, საზღვარგარეთ რომ წამოვედი. სხვანაირად ჩემი კარიერა არ შედგებოდა. ბევრ გუნდში მომიწია თამაშმა და თავი არსად დამიზოგავს. ადამიანი ყოველთვის ფიქრობს, მეტს და მეტს მიაღწიოს და მეც ასე ვიყავი. რაც შევძელი, ამისთვის მადლობა უფალს. ღვთის გარეშე არაფერი ხდება.

— თქვენი დროის საქართველოს ნაკრებში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა, მაგრამ შედეგი მაინც ვერ მივიღეთ...

— მაშინდელ ნაკრებს საერთაშორისო დონეზე თამაშის გამოცდილება აკლდა და წარუმატებლობაც ამის ბრალი იყო.

— ახლანდელ ეროვნულ ნაკრებზე რას იტყვით?

— ყოველთვის იმედიანად ვარ და ძალიან მინდა, საქართველომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ითამაშოს.

— და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

— ჩემი აზრით, ეროვნულ ჩემპიონატს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. როგორი დონის ჩემპიონატი გაქვს, ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება — როცა დონე აიწევს, მაშინ მართლაც გვექნება წარმატება. მარტო ლეგიონერებით ფინს გასვლა ძალიან ძნელია. როცა მწვრთნელს ფეხბურთელების დიდი არჩევანი ექნება, რამდენიმე ტრავმირებულის ნაცვლად ახლის მოძებნა აღარ გაუჭირდება. მაგალითად, ქართველებთან კვიპროსელები ნიჭით ახლოსაც ვერ მოვლენ, მაგრამ აქ ახალგაზრდას ყველა პირობა აქვს შექმნილი ფეხბურთის სათამაშოდ. კარგი მოედნების, ბურთის და ათასი წვრილმანის პრობლემა არ არსებობს, საქართველოში კი პირობების არქონის გამო ბევრი ტალანტი იკარგება.

— როგორ ემზადება „ანართოსისი“ ახალი სეზონისთვის?

— გუშინ დავბრუნდით ჰოლანდიიდან, სადაც ორკვირიანი შეკრება გვქონდა. რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ და, როგორც ყოველთვის, „ანართოსისი“ ამ სეზონშიც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. პირველ რიგში, კვიპროსის ჩემპიონობისთვის.

— რომელიმე ქართველ ფეხბურთელის დამატებას ხომ არ აპირებთ?

— ამ ეტაპზე ეს არ იგეგმება.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ასათიანის ავსტრიული 180

## ქართველმა ლოსკოვის სიცარიელე შეავსო



**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ ავსტრიაში ორი ტესტ-მატჩი გამართა — ჯერ ადგილობრივ ქვედალიგელ „ინტერბლოკს“ 3:0 მოუგო, მერე კი რუმინულ „კლუჟთან“ 3:4 დათმო.

მალხაზ ასათიანმა ორივე შეხვედრა სრულად ჩაატარა, „კლუჟთან“ კი ცენტრალურ ნახევარმცველად დააყენეს.

რკინიგზელთა ლიდერ დმიტრი ლოსკოვის რამენსკოეს „სატურნში“ წასვლის შემდეგ შემდეგ „ლოკომოტივში“ გამთამაშებლის ადგილი გათავისუფლდა. ამის მიუხედავადაც, მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი ბოლო მატჩებში გუნდს 10 ნომრის გარეშე ათამაშებდა, თუმც ვინ იცის, ამ ადგილისთვის უკვე მალხაზს ამზადებდეს...

**ილია ნანობაშვილი**

# სად დაიკარგნენ ბაბუნაშვილი და აფციაური?

**მარიუპოლის** „ილიჩევეცში“ ორი ქართველი ფეხბურთელის, თბილისის დინამოელი შოთა ბაბუნაშვილისა და რუსთავის „ოლიმპის“ თორნიკე აფციაურის გადასვლას ველოდით. რა სტადიაზეა ახლა მოლაპარაკებები გუნდსა და ფეხბურთელებს შორის, ჯერჯერობით უცნობია.

ამასობაში „ილიჩევეცმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და არც ერთი ჩვენებური მოედანზე არ ყოფილა. სამაგიეროდ, მეტოქე გუნდში ითამაშა გიორგი დემეტრაძემ, თუმც მხოლოდ პირველი ტაიმი — ტესტ-მატჩი დონეცკის „მეტალურგმა“ 1:0 მოიგო.

საკონტროლო მატჩი გამართა ზაპოროჟიეს „მეტალურგმაც“. ზაპოროჟიელებმა 4:0 მოუგეს „სევასტოპოლს“. ძირითადში იყო დავით კვირკველია, რომელმაც მე-8 წუთზე პენალტი მოინადირა. კვირკველია თავად იყო მეტალურგთა პენალისტი, თუმც ორჯერ უხეიროდ დაარტყა და ახლა ეს საქმე მისმა თანაგუნდელმა ითავა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



დავით კვირკველია

კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი


ხუან რომან რიკელმემ პერუელებს დუბლი უთავაზა

AFP

# ურიბემ სკამი დაიჩივლა

**მეოთხედფინალი**

**არგენტინა 4:0 პერუ**

1:0 რიკელმე (47), 2:0 მესი (61), 3:0 მასკერანო (75), 4:0 რიკელმე (86)
არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გ. მილიტო, ჰაინცე, ხ. ვერონი (გაგო 71), მასკერანო, კამბიასო (აიმარი 83), რიკელმე, მესი, დ. მილიტო (ტევესი 46)
მწვრთნელი: ალფიო ბასილე
პერუ: ბუტრონი, გალიკიო, აკასიეტე, ვილალტა, ვილამარინი (ზუნიგა 64), ვილკესი, ბასალარი, დე ლა აზა, მარინო (ა. მენდოსა 74), კ. პიზარო, გერერო (პედრო გარსია 54)
მწვრთნელი: ხულიო სესარ ურიბე
გაფრთხილება: აკასიეტე, აიალა, დე ლა აზა
მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)
37 000 მაყურებელი

**„ძნელია** ტოლ-სწორად თამაში გუნდთან, რომელსაც სათადარიგოთა სკამზე კარლოს ტევესი, პაბლო აიმარი და ფერნანდო გაგო უზის“ — თქვა პერუს მწვრთნელმა ხულიო სესარ ურიბემ.

პერუმ პირველ ტაიმში შეძლო არგენტინის შეტევებთან გამკლავება და თვითონაც შექმნა ორიოდ მომენტი, მაგრამ შესვენების შემდეგ პირველივე წუთზე გაუშვა. მერე კი აუყოლა არგენტინამ და კიდევ სამი გაუტანა, რითაც ტურნირზე გოლების რაოდენობა ცამეტამდე გაზარდა. აქედან ოთხი კი ხუან რომან რიკელმეს ანგარიშზეა, რომელმაც, ისევე, როგორც კოლუმბიასთან, პერუსთანაც დუბლი შეასრულა, თან ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

„ანგარიში ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს — განაცხადა ურიბემ — არგენტინას ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავს და მრავალფეროვნად თამაშობს. ჩემს ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ ნიჭმა მაინც თავისი გაიტანა. რიკელმეს გოლმა ჩვენი საპირველტაიმო გარჯა წყალს გაატანა“.

ალფიო ბასილე: „ჩემთვის საამაყოა ის, რომ გუნდი უგოლო ტაიმის მერე არ ანერვიულებულა და მშვიდად აკეთა საქმე. ასე მოგება მეტად სასიამოვნოა“.

პერუელებს თამაშის დასაწყისში ჰქონდათ მომენტი, როცა გაბრიელ ჰაინცეს პასი ჩაჭრა პაულო გერერომ, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

ყველაზე მეტად გერერო აწუხებდა მეტოქის დაცვას და ერთ ეპიზოდში რობერტო აიალა დაინდო მსაჯმა, როცა არგენტინელმა მცველმა კარისკენ დაძრული პერუელი ფორვარდი აშკარად წააქცია.

ლეო მესი კი თავისებურებს ხლართავდა და ერთხელ მისი დარტყმული ძელს მოხვდა, ხოლო მეორედ კარის ხაზიდან ედგარ ვილამარინმა გამოიტანა.

მეორე ტაიმში დიეგო მილიტოს ნაცვლად კარლოს ტევესი შევიდა და მისი პასით რიკელმემ ანგარიში გახსნა — ცაციით უძლიერესად დაჰკრა ბურთს და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ამის მერე „მფრინავი“ ტევესის თავური და ხარიხა შეტოკდა, რასაც რიკელმეს მჭრელი პასი და მესის გოლი მოჰყვა — ბურთი ბუტრონს ფეხებშუა გაუძვრა.

თოთხმეტ წუთში ხავიერ მასკერანომაც გაიხარა — მეორე სანაკრებო გოლი მიითვალა.

მატჩის მიწურულს მეტოქის რბევა დამწყებმა დაასრულა — აბონდანსიერიმ ტევესს მიაწოდა, მან კი საჯარიმოში რიკელმეს, რომელმაც ახლოდან ისევ მარცხენა კუთხეში გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟოელ საიასის ტრაგედია: რას მერჩოდა ბობადილა?

**მექსიკა 6:0 პარაგვაი**

1:0 კასტილიო (5პ), 2:0 ტორადო (27), 3:0 კასტილიო (39), 4:0 არსე (79), 5:0 ბლანკო (86პ), 6:0 ბრავო (90)
მექსიკა: ო. სანჩესი, ი. კასტრო, მარკესი, მაგალონი, ფ. პინტო, ტორადო, გუარდადო, ფ. არსე (ბლანკო 80), კორეა, ნ. კასტილიო (ბაუტისტა 54), კაჩო (ო. ბრავო 65)
მწვრთნელი: უგო სანჩესი
პარაგვაი: ბობადილა, დ. ვერონი (ე. ვერა 46), კასერესი, და სილვა, ბონეტი, ე. ბარეტო, რივეროსი, სანტანა (საიასი 4), მორელ როდრიგესი, ო. კარდოზო (კაბანიასი 67), სანტა კრუზი
მწვრთნელი: ხერარდო მარტინო
გაფრთხილება: მაგალონი, ბარეტო
გაძევება: ბობადილა (3)
მსაჯი: სერხიო პეცოტა (არგენტინა)
50 000 მაყურებელი

**პარაგვაის** მეკარე ჟოელ საიასი, რომელიც „ლიბერტადში“ თამაშობს, პირველად წაიყვანეს ასეთ დიდ ტურნირზე და ეს ალბათ არასოდეს დაავიწყდება. მისი სანაკრებო დებიუტი ისეთი გამოვიდა, უარესი რაღა უნდა იყოს. ბიჭი ჩადგა კარში თუ არა, წამის შემდეგ ბურთი კარიდან გამოიტანა და ამის მერე კიდევ ხუთჯერ გაიმეორა იგივე. საიასის ცოდვა კი ალდო ბობადილას კისერზეა, რომელმაც მე-3 წუთზე საჯარიმოში წააქცია ნერი კასტილიო და ამის გამო გააძევეს. თვითონ ბობადილა ძირითად შემადგენლობაში იმიტომ მოხვდა, რომ მთავარი მეკარე ხუსტო ვილიარი დაშავდა. ტურნირის მონაწილე თორმეტი გუნდიდან მხოლოდ სამმა (არგენტინა, პარაგვაი, პერუ) ჩაიყვანა სამი მეკარე ვენესუელაში. მწვრთნელ ხერარდო მარტინოს საიასი რომ არ წაეყვანა, რომელიმე ფეხბურთელს მოუწევდა კარში ჩადგომა და...

მექსიკა და პარაგვაი ივნისის დასაწყისშიც შეხვდნენ ამხანაგურად და ხერარდო მარტინოს გუნდმა, რომელიც სამხრეთამერიკულ ნაკრებებში დაცვით განთქმულია, 1:0 მოიგო. სახელგანთქმული დაცვა გუშინ ისე დაიშალა ნერი კასტილიოს პენალტის შემდეგ, რომ პარაგვაელებს 1980 წელი გაახსენდათ. მაშინ ბრაზილიასთანაც 0:6 წააგეს, რაც უცუდესი შედეგია მათ ისტორიაში.

კასტილიოს გოლმა და მეკარის გაძევებამ პარაგვაი არია. დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ, მექსიკელების კონტრშეტევა ხერარდო ტორადოს უძლიერესი დარტყმით დასრულდა და ბურთი ხარიხიდან ბადეში შევარდა. მერე კიდევ ერთი შეტევა და კასტილიოს დარტყმულმა ბურთმა საცოდავ საიასს თავზე გადაუშხუილა — 3:0.

მეორე ტაიმში პარაგვაიმ ნახევარი საათი გაძლო გოლგაუშვებლად, მაგრამ 1980 წლის გამეორება არ ასცდა. ბოლო ათ წუთში მექსიკა აფეთქდა და კიდევ სამი შეაგდო. ფერნანდო არსემ დაიწყო, კვატემოკ ბლანკომ პენალტი მიაყოლა, ხოლო პარგვაის ტანჯვა ომარ ბრავომ დაასრულა.

„გუნდი გრძნობს, რომ ტურნირის მოგება შეუძლია. მატჩიდან მატჩამდე ხარისხს ვაუმჯობესებთ და ყველაზე მეტად ეს მახარებს“ — თქვა უგო სანჩესმა.

მექსიკა ორჯერ იყო „კოპა ამერიკას“ ფინალში. პირველად არგენტინასთან დამარცხდა, მეორედ კი კოლუმბიასთან. ახლა ფინალში გასასვლელად არგენტინის ძლევა სჭირდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ნახევარფინალი**

**10 ივლისი: ურუგვაი — ბრაზილია**
**11 ივლისი: მექსიკა — არგენტინა**




AFP

# ლაუდრუპმა სკამს გაციება არ აცალა

**„ხეტაფემ“** მწვრთნელად მიქაელ ლაუდრუპი დანიშნა, რომელმაც „რეალში“ წასული ბერნდ შუსტერი შეცვალა. 43 წლის დანიელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლაუდრუპს „იუვენტუსში“, „ბარსელონასა“ და „რეალში“ უთამაშია, 2000-2002-ში მორტენ ოლსენის თანაშემწედ მუშაობდა დანიის ნაკრებში, შემდეგ კი „ბრონდბიუს“ თავკაცი გახდა. 2004 წელს დანიის თასი მოიგო, მომდევნო სეზონში კი თასიც და ჩემპიონატიც, ხოლო 2006-ში კლუბიდან წავიდა. იოჰან კრუიფის „ბარსელონაში“ ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასიც აღმართა. მერე „რეალში“ გადავიდა და იქაც მოიგო პრიმერადივიზიონი 1995 წელს. წლეულს „ხეტაფე“ მეცხრე ადგილზე გავიდა, მაგრამ უეფას თასზე ითამაშებს, რადგან ესპანეთს თასის ფინალში გააღწია, სადაც „სევილიასთან“ დამარცხდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მიიღო.

# კარაგერს ინგლისი მოსწყინდა

**„ლივერპულის“** მცველმა ჯეიმი კარაგერმა განაცხადა, რომ ნაკრებში ალბათ აღარ ითამაშებს: „რამდენიმე მიზეზის გამო ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. პირველად სანაკრებო კარიერის დასრულებაზე შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვიფიქრე. ამჟამად ბევრი კარგი ინგლისელი მცველია პრემიერლიგაში, რომლებსაც ჩემი შეცვლა შეუძლიათ. მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ ნაკრებში, თუ მწვრთნელს სხვა გამოსავალი არ ექნება და ტრავმების გამო ფეხბურთელები დააკლდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მარტო ერთი კოცნა მინდა...

ინგლისური **News Of The World** იუწყება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელი ვარსკვლავის, კრიშტიანუ რონალდუს სატრფო, ანუ გელფრენდი, პირმშვენიერობით სახელგანთქმული ჯემა ატკინსონი „მანჩესტერ იუნაიტედისავე“ ვარსკვლავმა, ინგლისელმა ალან სმიტმა „მიირთვა“...



## კრიშტიანუ რონალდუს საცოლემ ალან სმიტთან უღალატა



**ჯემა ატკინსონი** ინგლისელმა ხალხმა რონალდუს ტრფობის გარდა, ტელესერიალ Hollyoaks-ში მონაწილეობითაც იცის (ეს საპნის ოპერა channel 4-ზე 1995 წლის 23 ოქტომბრიდან გადის, თუმცა, ჯემა, ბუნებრივია, მასში მოგვიანებით ჩაერთო და შემდეგ გამოეთიშა კიდეც), ოღონდ ჩვენი დღევანდელი გაოცების საგანი ეს სულაც არ არის.

დავუბრუნდეთ თემას, ჯემა ატკინსონი კრიშტიანუ რონალდუს შვიდი თვეა, რაც ჰყვარობს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? აქ საკითხი სხვანაირად დგას: განა შეყვარებული იმისთვის არსებობს, რომ მას ყველაფერი უამბო? არა, რასაკვირველია. შეყვარებული შეყვარებულია და მას სულაც არ უნდა მოუყვე, როგორ უღალატე თანაგუნდელთან ამ თანაგუნდელის ბინაში, ჩეშირში. მაგრამ, რასაც არ უამბობ შეყვარებულს შენ, გამოიკვლევს და დაწერს ინგლისური ყვითელი პრესა, რომელსაც დედიშენის შვილი ხარ და, უთხარი, ჩემს პირად საქმეში რატომ ერევიო. ეს ყვითელ-ყვითელი პრესა, უეჭველად შეიტყობს და დაწერს, რომ სმიტმა გვიან ღამით დაგირეკა და გითხრა, ჩემი გელფრენდი სადღაც წავიდა და „მოდი, მოდი, სანამ დროა, სანამ გული გულობსო“. ეს პრესა იმასაც დაწერს, რომ შენ კარგა დაბნელებას დაელოდე და სმიტის ჩეშირულ სახლში უკანა კარიდან შეხვედი და სხვა.

ახლა ერთი ფაქტის შესახებ: ჯემა ატკინსონს ალან სმიტთან „შური-მური“ რონალდუს გაცნობამდე ერთი წლით ადრეც ჰქონია — გოგონას ვიწრო ამურ-სპეციალობა, ეტყობა, რაღაცნაირად, ფეხბურთთან არის კავშირში — პორტუგალიელზე კი მხოლოდ ამის შემდეგ გადართულა. მაგრამ ბედი ბოროტია — ერთ საძაგელ დღეს, ჯემას შიშს დიდი თვალები დაუჭყეტია, რაც იმიტომ მომხდარა, რომ სმიტის ზემოხსენებულ სატრფოს ჰოლი უორთინგტონს, ალანისა და მისი ტექსტ-მესიჯ-სიყვარული უნახავს. აი, აქ კი შეშინებია ჩვენს ჯემას: ვაიმე, კრიშტიანუ არ დავკარგო, ეს ბიჭი კვირაში 120-ათასგირვანქიანია, წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და, რაც მთავარია, ჩვენზე აქა-იქ უკვე დაწერეს, ახალი დევიდი და ვიქტორია არიანო...

დაგვეთანხმებით, დევიდ-ვიქტორიობა ძალიან სერიოზული და შემოსავლიანი საქმეა, მაგრამ ვაი, რომ რთულიც არის. აბა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუნდაც ერთხელ, თუნდაც ერთ, თუნდაც ყვითელზე ყვითელ ჟურნალისტს წამოსცდენია პოში ქმარს ღალატობსო? სხვა ნიჭსა და უნარს ნულარ ვახსენებთ, აღარ არის საჭირო.

„ჯემას ახლა სინდისი ქენჯნის, რადგან ის მომავალს კრიშტიანუსთან ერთად ხედავს და ესმის, რომ მომხდარმა შეიძლება გართულება გამოიწვიოს“ — თქვა გოგონას მეგობარმა.

მაგრამ, ხომ შეიძლება, არც გამოიწვიოს?

# ლონდონში ჩასწრება, ამერიკაში მისწრება



**ფლორენ მალუდამ** „ჩელსის“ კარს სულ ქოშინ-ქოშინით მიუკაკუნა — „ლიონი“ და ლონდონური კლუბი სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდნენ. ეს თანხა ინგლისურად 13,5 მილიონი გირვანქაა, ზოგადევროპულად კი, 19,93 მილიონი ევრო, ფაქტობრივად, 20 მილიონი.

„ლურჯებს“ მალუდას გადაბირება კარგა ხანია უნდათ, მაგრამ ლიონელებთან ვაჭრობაში ვერ რიგდებოდნენ — ფრანგულ კლუბს 17 მილიონი გირვანქა, ანუ 25,10 მილიონი ევრო უნდოდა, ინგლისელებს ეს ეძვირებოდათ. საბოლოოდ, როგორც ხედავთ, მყიდველებმა დააკლებინეს.

ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ცნობილი მარცხენა ნახევარმცველი 27 წლისაა. მის საკლუბო ტიტულებს შორის თვალშისაცემი საფრანგეთის ოთხგზის ჩემპიონობაა, სანაკრებო მიღწევებიდან, ბუნებრივია, ყველაზე მძიმეწონიანი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონის მედალი გახლავთ, ხოლო პირადი მიღწევებიდან, გასულ სეზონში ფრანგული ლიგის საუკეთესო ფეხბურთელობა იპყრობს ყურადღებას.

„ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა: „ჩვენ და „ჩელსიმ“, საბოლოოდ, თანხაზე შეთანხმება შევძელით. ფლორენიც უკვე გაემგზავრა ლონდონს. ლონდონელები მალუდაში 20 მილიონ გირვანქას იხდიან, ეს თანხა კი სავსებით გვაძლევს ხელს: ვფიქრობ, „ჩელსიში“ გადასვლა საკუთრივ მალუდასთვისაც საუცხოო ამბავია. როგორც კი სატრანსფერო მოლაპარაკებები დასრულდა, მე მას დავურეკე და ვუთხარი, რომ სამედიცინო შემოწმების გასავლელად ინგლისს სასწრაფოდ უნდა გაემართოს“.

და, აი, ზემოთ ხსენებული ქოშინის ამბავსაც მივადექით: მხარეებმა ვაჭრობა ისე დაამთავრეს, რომ გუშინ მალუდას ლონდონში ჩასვლაც მოესწრო, სამედიცინო შემოწმების გავლაც და ახალ თანაგუნდელებთან ერთად ამერიკაში საწვრთნელ შეკრებაზე გავარდნაც.

სამაგიეროდ, შეერთებულ შტატებში ვერ გაემგზავრა გერმანელი ვარსკვლავი მიხაელ ბალაკი, რომელიც კოჭის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის.

„ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, რაც გამოჩნდება, როგორ მიდის რეაბილიტაციის საქმე“ — წერია „ჩელსის“ ოფიციალურ განცხადებაში.

არ არის გამორიცხული, გერმანელი თანაგუნდელებს ამერიკული შეკრების მეორე ნახევარში შეუერთდეს.

**ბაჩუნა ძიძია**

# მეორე ტაიმი ვილნიუსის პოლიციაში

## ლეგიას ფანებმა ფარები აიფარეს

**პოლონური** „ლეგიას“ 26 გულშემატკივარი გამოამწყვდიეს ვილნიუსის პოლიციაში გუშინწინ საღამოს, მას შემდეგ, რაც „ვეტრასა“ და პოლონური გუნდის ინტერტოტოული მატჩი შეწყდა.

ცამეტი ქომაგი ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ჩააყუდეს, ხოლო ამდენივე მოგვიანებით, როცა სტადიონზე არეულობა დამთავრდა. „ვეტრას“ ოთხმა ფანმაც ღამე პოლიციაში გაატარა. ერთი ლიტველი, დანით დაჭრილი ქომაგი ჰოსპიტალში გააქანეს, ორი სამართალდამცავი კი მსუბუქი ტრავმებით გამოძვრა ჩხუბიდან.

პირველი ტაიმის დასრულებისთანავე (მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ), რამდენიმე ასეული პოლონელი (სულ 2500-მდე იყვნენ) მოედანზე შეცვივდა. მათ პოლიციას საგნების სროლა აუტეხეს, სარეკლამო ფარების ნამტვრევებით კი თავს იცავდნენ ცრემლსადენი გაზისგან და ხელკეტებისგან. სამართალდამცავებმა „ლეგიას“ მეომარი ფანები სტადიონიდან გააძევეს, ხოლო „ვეტრას“ ქომაგები არ გაუშვეს, რათა გარეთ ჩხუბი არ გაგრძელებულიყო.

უეფამ განაცხადა, რომ „ლეგია“ დაუსჯელი არ დარჩება გულშემატკივრების აღვირახსნილობის გამო.

„ლეგიას“ ქომაგებმა შარშან ვარშავაშიც გემრიელად იჩხუბეს პალიციასთან, როცა გუნდის გაჩემპიონებას ზეიმობდნენ.

2004 წელს კი უეფას თასზე „თბილისს“ რომ შეხვდნენ, „ეროვნულზეც“ დიდი არეულობა მოაწყვეს...

ლიტვურ საქმეზე უეფა გადაწყვეტილებას ოთხშაბათს გამოაცხადებს.

**გაგა ხუციშვილი**



„ლეგიას“ ფანები თბილისშიც ძლივს დააშოშმინეს

# ბერნდ შუსტერი: მე სახლში დავბრუნდი

## მადრიდის რეალში ახალი ცხოვრება იწყება

**მადრიდის „რეალის“ ახალი მწვრთნელი გერმანელი ბერნდ შუსტერია. ის, რასაც ესპანური მედია მარტიდან მოყოლებული დაჟინებით წერდა, ოფიციალურად გაფორმდა — კლუბის პრეზიდენტ რამონ კალდერონის ფავორიტ „ბერნარდოს“ „სამეფო თეთრების“ თავკაცობა ჩააბარეს...**



AFP

შუსტერი გუშინ წარადგინეს სამეფო გუნდის მწვრთნელად. რამონ კალდერონმა მედიას განუცხადა: „რეალი“ მუდამ ჯილდოთა მოსაგებად იბრძოლებს, ოღონდ ეს ყველაფერი გუნდის ბრწყინვალე სტილის, მისი დიდი წარსულის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ბერნდ შუსტერი დიდი ფეხბურთელი იყო, ამ კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო და, როგორც მწვრთნელი, ძალიან ძლიერია. დარწმუნებული ვარ, „ბერნარდოსთან“ ერთად შევქმნით გუნდს, რომელიც „რეალის“ თამაშს ძველ ბრწყინვალებას დაუბრუნებს“.

გერმანელთან „რეალის“ წინასწარი შეთანხმების ამბავი ჯერ კიდევ მარტში გახდა ცნობილი. მაშინ ფაბიო კაპელოს სამეფო გუნდს უჭირდა და კალდერონიც შუსტერს მოურიგდა — იტალიელს სეზონი როგორმე ჩავამთავრებინოთ და სამომავლოდ „რეალს“ აუცილებლად შენ ჩაგაბარებო.

მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცით, დონ ფაბიომ მოწაფეები მკვდრეთით აღადგინა, ბრძოლის ჟინი და შემართება დაუბრუნა და ესპანეთის ჩემპიონობაც მოაგებინა. თუმცა სენიორ კალდერონმა მაინც შუსტერი მიიყვანა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ — რაში სჭირდება „რეალს“ ისეთი ჩემპიონობა, როცა გუნდის თერთმეტივე წევრი დაცვაში თამაშობსო — ასე შეაფასა კასტილიელთა შეფმა კაპელოს საქმიანობა ესპანურ გრანდში...

„ბერნარდომ“ კი თავის ყოფილ „ხეტაფეს“ 480 ათასი ევრო გადაუხადა, „ლურჯებისგან“ სრული თავისუფლება მიიღო და ძველი ნატვრა აისრულა — ამიერიდან იგი თავისი ოცნების გუნდის მწვრთნელი იქნება.

„ეს განსაკუთრებული დღეა ჩემთვის. მინდა, „რეალის“ უფროსობას მადლობა გადავუხადო ახალგაზრდა მწვრთნელისადმი გამოჩენილი ნდობისთვის. ვიცი, სამუშაოდ სად მოვედი, ჩემს სახლს შესანიშნავად ვიცნობ... თუ მსოფლიოში სადმე ორი ან სამი გრანდი არსებობს, ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად მადრიდის „რეალია“ — განაცხადა „სამეფო თეთრების“ ახალმა დამრიგებელმა. მადრიდული გაზეთები კი წერენ, „რეალში“ ბერნდ შუსტერის ერა იწყებაო...

**ლადო ხომერიკი**

# ეს რა ჭირი მოვიშორეთო



**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა მორიგი საინტერესო განცხადება გააკეთა, რონალდო რომ წავიდა, ჩემპიონები იმიტომ გავხდითო — დაახლოებით ასე გამოუვიდა „სამეფო გუნდის“ მმართველს.

„იმოქმედა თუ არა რონალდოს წასვლამ „რეალზე“? დიახ, თანაც, ძალიან დადებითი კუთხით: ჩვენ ჩემპიონები გავხდით. მისი გაყიდვა მნიშვნელოვანი, გარდამტეხი გადაწყვეტილება გახლდათ. ჩვენ თავდაუზოგავი შრომა განვაახლეთ და უაღრესად დისციპლინირებულნი გავხდით. რონალდოს თამაშის ყურებისგან სიამოვნებას ვიღებდი, მაგრამ გასახდელში ვითარება შესაცვლელი გვქონდა, დისციპლინა უმაღლეს დონეზე უნდა აგვეყვანა, მასთან ერთად კი ამას ვერ ვიზამდით“ — განაცხადა კალდერონმა „ელ პაისთან“ საუბარში.

შეგახსენებთ, რომ რონალდო იანვარში 8,3 მილიონ ევროდ „მილანში“ გადავიდა. მაშინ „რეალი“ „ბარსელონას“ ჩამორჩებოდა და ჩემპიონობის ცოტა არარეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ...

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ თავის მხრივ, რონალდო „მილანში“ ჩინებულად ათამაშდა და 7 გოლიც გაიტანა. იგი მნიშვნელოვნად დაეხმარა გუნდს, ოთხეულში ადგილი რომ დაემკვიდრებინა.

**კოკი კანდელაკი**

# მეცელდერი შუსტერის კვალდაკვალ

## დღეს სამედიცინო შემოწმებაა



**კრისტოფ მეცელდერი** გუშინ მადრიდში ჩავიდა. „დორტმუნდის“ ყოფილმა ცენტრალურმა მცველმა განაცხადა, რომ „რეალში“ თამაშის დაწყება მისთვის სანუკვარი ოცნების სინამდვილედ გადაქცევაა.

„ყოველივე იმის გამო, რაც ხდება, ძალიან ემოციურად ვარ განწყობილი. ძალიან მინდა, გუნდს მალე შევუერთდე. მოხარული ვარ მადრიდში ჩამოსვლით“ — თქვა გერმანელმა ფეხბურთელმა, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში დარჩება და წლიურად 4 მილიონ ევროს მიიღებს.

მეცელდერმა აღნიშნა, რომ ახალ თანაგუნდელებს პირადად არ იცნობს, თუმცა მათი ოსტატობით მოხიბლულია: „აღფრთოვანებული ვარ ისეთი მოთამაშეებით, როგორებიც კასილიასი, კანავარო და ვან ნისტელროი არიან. დანარჩენ რეალელებზეც მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა“.

ექსდორტმუნდელი „სამეფო გუნდში“ სამედიცინო შემოწმებას დღეს გაივლის. მიუხედავად იმისა, რომ მეცელდერი „რეალის“ ექიმმა დელ კორალმა უკვე მარტში საგულდაგულოდ გასინჯა, მშვიდად რომ იყვნენ, მადრიდელები კრისტოფს კიდევ ერთხელ შეამოწმებენ — ამ ფეხბურთელმა ხომ სერიოზული ტრავმის გამო ორი წელიწადი ვერ ითამაშა.

**ლადო ხომერიკი**

# რაფაელ ბენიტესმა ფანჯარა მიხურა



**ინგლისური** „ლივერპულის“ ესპანელი მწვრთნელის, რაფაელ ბენიტესის თქმით, მის გუნდს განსაკუთრებული გაძლიერება არ სჭირდება და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორ ახალ მოთამაშეს თუ დაიმატებს.

ბენიტესმა წასვლის ნება დართო ჯიბრილ სისეს, ლუის გარსიას, კრეიგ ბელამისა და ბუდევეინ ზენდენს. გაძლიერებით კი, ჯერ მხოლოდ თავდასხმა გააძლიერა — მერსისაიდულ კლუბში მადრიდის „ატლეტიკოდან“ ფერნანდო ტორესი, ხოლო გერმანული „ლევერკუზენიდან“ ანდრეი ვორონინი გადავიდნენ.

„განსაკუთრებული ცვლილებები აღარ გვჭირდება. მომავალი სეზონის დაწყებამდე ორ მოთამაშეს თუ დავიმატებთ. გვყავს ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი და ალბათ რამდენიმე მათგანს გავანათხოვრებთ, რათა სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეთ“ — თქვა ბენიტესმა.

შაბათს „ლივერპული“ ამხანაგურად გაეჯიბრა დაბალლიგელ „რექსემს“ და 3:2 მოუგო. მერსისაიდელთა სამივე გოლი ჯერმენ პენანტმა გაიტანა. ესპანელი ტაქტიკოსი მისი თამაშით აღფრთოვანებული დარჩა.

რაფაელ ბენიტესი: „შემტევი გარემარბი გვაკლდა და მის ყიდვას ვაპირებდი. ახლა ეს აუცილებელი აღარ არის, რადგან პენანტი ზუსტად ისე თამაშობს, როგორც მინდა. იგი კარგად ირჯებოდა წინა სეზონის ბოლო პერიოდში, მშვენივრად ჩაატარა ჩემპიონთა ლიგის ფინალიც. ჯერმენი ახლაც, მოსამზადებელ პერიოდშიც ბრწყინვალედ გამოიყურება“.

**კოკი კანდელაკი**

# კანუტი თხუთმეტად შეფასდა

**უეფას** თასის მფლობელმა „სევილიამ“ ფრედერიკ კანუტს ფასი დაადო — 15 მილიონი ევრო. ესპანური კლუბის განცხადებით, მალელი ფორვარდის მსურველმა სწორედ ამდენი უნდა გადაიხადოს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „პორტსმუთმა“ „სევილიას“ ფეხბურთელში 7 მილიონი შესთავაზა.

თვითონ მალელს ესპანეთი არ ეთმობა, მაგრამ მეტი ხელფასი უნდა: „აქ ბედნიერი ვარ, თუმცა ვფიქრობ, რომ მეტი ჯამაგირი მეკუთვნის. თუ „სევილია“ ჩემს გაყიდვას მოისურვებს, ინგლისში დაბრუნებას ვარჩევ“.

შეგახსენებთ, რომ ფორვარდი ესპანეთში „ტოტენჰემიდან“ წავიდა.

# რუნიმ ოპერატორს ესროლა

**„ნაიკის“** სარეკლამო რგოლის გადაღებისას, რომელშიც უეინ რუნი მონაწილეობდა, მხიარული ამბავი მოხდა. რუნი დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში ჟამბაზობდა ბურთით და მერე კამერას დაუმიზნა. დარტყმა ისეთი გამოუვიდა, რომ ოპერატორი გადაყირავდა.

მანჩესტერელი ახალ ბუცებს („ტოტალ 90 ლაზერი“) არეკლამებდა. რეჟისორმა რაიმე განსაკუთრებულის ჩვენება სთხოვა და ბოლოს უთხრა, რაც გინდა, ის გააკეთეო. რუნიმაც გააკეთა...

# დოდო დოპინგიანი

**„ბოტაფოგოს“** ფორვარდ დოდოს 30-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რადგან დოპინგ-ტესტზე სისხლში აკრძალული ნივთიერება უპოვეს.

33 წლის ფეხბურთელს კარიერის დასაწყისში ნაკრებშიც უთამაშია.

ტესტი 14 ივნისს გაიარა „ვასკუ და გამასთან“ მოგებული (4:0) მატჩის შემდეგ, რომელშიც დუბლი შეასრულა. თვითონ ამბობს, რომ რაღაც დიეტური საკვები მიირთვა და ნივთიერებაც ამის გამო აღმოჩნდა მის ორგანიზმში.

დოდო ბრაზილიის ჩემპიონატის ბომბარდირებში მეორეა 10 გატანილი გოლით.

**გაჟა ხუციშვილი**

# მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

### A ჯგუფი. III ტური

კანადა 0:2 კონგო

ჩილე 0:0 ავსტრია

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ავსტრია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| კონგო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

### C ჯგუფი. III ტური

ახ. ზელანდია 1:2 მექსიკა

პორტუგალია 1:2 გამბია

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| გამბია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ახ. ზელანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

### მერვედფინალი

11 ივლისი: ავსტრია — გამბია; აშშ — ურუგვაი; იაპონია — ჩეხეთი; ესპანეთი — ბრაზილია

12 ივლისი: ჩილე — პორტუგალია; ზამბია — ნიგერია; არგენტინა — პოლონეთი; მექსიკა — კონგო

# აზიის თასი 2007

### B ჯგუფი I ტური

იაპონია 1:1 ყატარი

# აშშ

### MLS. XVII ტური

კოლორადო 0:1 ნიუ იორკი

ჰიუსტონი 1:0 ვაშინგტონი

# ოქროს ვარსკვლავი

## მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი, იტალიელი მარკო ტარდელი

# ისტორიაში ყვირილით შესული



— მოდით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვილაპარაკოთ. საკლუბო ფეხბურთს მიჩვეული მოთამაშისთვის ამ შეჯიბრებაზე გადართვა ძნელია?

— ეს ახალ საფეხურზე ასვლას ნიშნავს. ხომ იცით, როგორ ხდება? ადამიანი თავიდან ერთ მიზანს ისახავს, მაგრამ როდესაც მიაღწევს, უკვე ახალზე გადადის. თან, მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა ნებისმიერი ბიჭუნას ოცნებაა.

— ბიჭობაში მსოფლიოს ჩემპიონატებს უყურებდით?

— ძალიან მკაფიოდ მახსოვს 1970 წლის ჩემპიონატი და მისი ფინალი, სადაც ბრაზილია იტალიას შეხვდა. არ ვიცი, რატომ ჩამრჩა ეს მოვლენა გონებაში ასე საგანგებოდ. იქნებ იმიტომ, რომ იმ ჩემპიონატში იტალიის ნაკრებმა, როგორც იქნა, კარგად წარმოაჩინა თავი.

— რას განიცდის ადამიანი, როდესაც საკუთარი ქვეყნის სახელით თამაშობს?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, რომ საკუთარი ქვეყნის სახე ხარ. ამ მომენტის კარგად გააზრება თუ მოახერხე, მიხვდები, რომ იმ წუთას შენს ქვეყანაში შენზე მნიშვნელოვანი ადამიანი არ არსებობს. მერედა, თუ ჩემსავით გაგიმართლებს და წარმატებასაც მიაღწევ, იგრძნობ, რომ ეს ყველაფერი უკვე საფეხბურთო მოედნის საზღვრებს სცილდება. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩვენ ვხედავდით, რომ made in italy-ს პროდუქტებზე მოთხოვნილება ორმაგად იყო გაზრდილი.

— კეთილი, მაშინ ცოტა ადრიდან დავიწყოთ. თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად 1978 წელს ითამაშეთ...

— ოჰ, ეს შუა საუკუნეებში იყო. ჩემს პირველ მატჩზე გიამბოთ?

— დიახ, თქვენს პირველ მატჩზე ოღონდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე...

— ჩემი პირველი ჩემპიონატი და პირველი თამაში... დიდებულია. ეს ნამდვილი საშინელება გახლდათ, ვინაიდან მე მსოფლიოს ჩემპიონატების წინ ყოველთვის რთულ დღეში მაგდებდნენ. მე ძალიან ემოციური ფეხბურთელი გახლდით და მსოფლიოს ყოველი ჩემპიონატის წინ პრესა ცდილობდა, როგორმე ხელი შეეშალათ ნაკრებში ჩემი წაყვანისთვის. გაზეთებში ნიადაგ ის იწერებოდა, რომ მე იტალიის ჩემპიონატმა დამქანცა და მუნდიალისთვის ღონე აღარ შემწევს. წერდნენ, რომ მე უაზროდ დავრბოდი წინ და უკან. ერთი სიტყვით, ჟურნალისტებთან სულ ომი მქონდა, მაგრამ დიდი სიამოვნებით მინდა მოგახსენოთ, რომ ამ ომებიდან უკლებლივ ყველა ჩემი გამარჯვებით დამთავრდა. კრიტიკული პუბლიკაციების გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჟინით აღსავსე ჩავედი. მინდოდა, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ რასაც წერდნენ, ტყუილი იყო. ეს ჩემი ოჯახისთვის, ჩემი მშობლებისთვის მჭირდებოდა. დიდი ემოციური ზეწოლის ქვეშ გახლდით.

— გახსოვთ, როგორ დაიწყო იტალიის ნაკრებმა ის მუნდიალი?

— მახსოვს, მოედანზე რომ შევვარდი, ყველანაირი ფიქრი მომშორდა და მხოლოდ თამაშზე გადავერთე. თამაშის გარდა აღარაფერი მაინტერესებდა. საერთოდაც, ვერ გეტყვით, რომ რაიმე განსაკუთრებული გრძნობები მეძალებოდა ან რაიმე განსაკუთრებულს მივხვდი. ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, 1982 წლის ჩემპიონატის გარდა, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ის პერიოდი იყო, „იუვენტუსში" რომ დავიწყე თამაში. კიდევ, განსაკუთრებით მახსოვს ჩემი პირველი სანაკრებო შეხვედრაც. აი, ეს ნამდვილად სხვა რამ იყო.

— და მაინც, ორიოდ სიტყვით 1978 წლის „სკუადრა ატურაზე" გვიამბეთ...

— ჩინებული გუნდი იყო, კარგად დაბალანსებული და დიდი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. იქ თამაშობდნენ ბენედეტი, კაბრინი, როსი... მაშინ როსი პირველად შეიჭრა სცენაზე. იმ გუნდში თავს დიდებულად ვგრძნობდი და ვფიქრობ, ფინალშიც შეგვეძლო გასვლა.

— ვისთან მეგობრობდით ყველაზე მეტად?

— საერთოდ, ყველასთან ჩინებული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ რასაკვირველია, იყვნენ ადამიანები, რომლებთანაც ბოლომდე განსაკუთრებით თბილი ურთიერობა შევინარჩუნე. ჩემი მეგობრები გახლდნენ ჯენტილე, როსი, შირეა, ძოფი...

— წეღან თქვით, რომ იმ ჩემპიონატზე გამარჯვებაც კი შეგეძლოთ. რატომ ვერ გაიმარჯვეთ, რამ შეგიშალათ ხელი?

— კაცმა რომ თქვას, რაიმე განსაკუთრებული შეცდომა არც დაგვიშვია. როგორც ჩანს, 1978-ში გამარჯვება ჩვენ არ გვეწერა და სულ ეს არის. აბა, წარმოიდგინეთ, იმ ჩემპიონატში ჩვენ არგენტინასაც მოვუგეთ. თან, დახეთ, რა მოხდა: მე, ბენედეტიმ და კიდევ ერთმა ძირითადის ფეხბურთელმა ყვითლები მივიღეთ და ფინალში რომც გავსულიყავით, ვერ ვითამაშებდით. აი, რას ნიშნავს, ჩვენ რომ არ უნდა მოგვეგო.

— ახლა ასეთი კომბინირებული კითხვა: როგორი ატმოსფერო გქონდათ გუნდში და რას წერდა თქვენს შესახებ იტალიური პრესა? ან, სულაც, როგორ აღიქვამდით საკუთარ თავს?

— იტალიური პრესა ყოველთვის სკეპტიკური გახლდათ ისეთი დიდი ადამიანის მიმართ, როგორიც ენცო ბეარზოტი იყო. არადა, ბეარზოტს საგანგებო ქარიზმა ჰქონდა. ქარიზმის გარდა ბეარზოტი საოცრად კულტურული ადამიანი გახლდათ, მაგრამ პრესასთან ურთიერთობაში ძალიან სუსტი იყო და ეს უამრავ პრობლემას გვიქმნიდა. ნებისმიერი შეჯიბრების დროს, კრიტის ქარცეცხლი გარანტირებული გვქონდა. საერთოდ, როგორ არის, იცით? იტალია იყოფა სამხრეთად, ჩრდილოეთად და ცენტრალურ იტალიად. ჩრდილოელი ჟურნალისტები მხოლოდ ჩრდილოელი ფეხბურთელების ამბავს კითხულობენ და მათზე წერენ. სამხრეთელებს მხოლოდ სამხრეთელები აინტერესებთ, ცენტრის ჟურნალისტები თავიანთი კუთხის მოთამაშეებს უწევენ რეკლამას, ბეარზოტი კი ამ დაჯგუფებებს არაფრად აგდებდა და ჟურნალისტთა ინტერესებს და სურვილებს არ ითვალისწინებდა.

— ყველაზე მეტად რა მოგწონდათ ბეარზოტის მუშაობაში? ის ტაქტიკურად განსაკუთრებით ძლიერი მწვრთნელი იყო?

— მას თავისი ფეხბურთელებისა ბოლომდე სწამდა. ამა თუ იმ ფეხბურთელის პოპულარობა არასდროს უბნელებდა თვალს. მას სწამდა, რომ მთავარი ერთი კაცი კი არა, ადამიანთა ჯგუფი იყო და, როგორც გითხარით, თავის შერჩეულ ბიჭებს ენდობოდა. მას შეეძლო, თავის ფეხბურთელს ცუდ პერიოდშიც კი გვერდზე დადგომოდა. აბა, წარმოიდგინეთ, ნაკრების თავკაცი ცუდ ფორმაში მყოფ ფეხბურთელს რომ იძახებს. ასეთი ბეარზოტი იყო, თუ კაცს ენდობოდა, ენდობოდა და მორჩა. აი, მაგალითად, მე 1978 წლის მუნდიალის წინ მართლა ცუდ ფორმაში გახლდით, მან კი გამომიძახა და მუნდიალზე წამიყვანა.

— ახლა კი, ვფიქრობთ, დროა, 1982 წლის დიდ ჩემპიონატზე გადავიდეთ. როგორ გრძნობდით თავს?

— ტრადიციისამებრ, იტალიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ცუდ დღეში გახლდით. ამას დაემატა ის, რომ, დავშავდი და ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში მონაწილეობა ვერც კი მივიღე. არა, მენტალურად ყველაფერი დიდებულად იყო, „იუვენტუსი" იტალიის ჩემპიონი გახდა, მეც მსოფლიოს ჩემპიონატზე საუცხოოდ ამეწყო საქმეები, მაგრამ საშინლად გადავიღალე.

— ჩემპიონატის წინ კი, იტალიის ნაკრებს ძალიან აკრიტიკებდნენ...

— დიახ, საშინლად გვაკრიტიკებდნენ და ამით ძალიან შეგვიწყვეს ხელი. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ მერე, როდესაც უკვე მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით, გაზეთები წერდნენ, რომ მძაფრი კრიტიკა შეგნებულად დაგვატეხეს თავს, თითქოს ისინი ამ გზით ჩვენს გაღიზიანებას და გაბოროტებას ცდილობდნენ, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს მართლა ასე იყო.

— მაგრამ ეფექტი მართლა ასეთი გამოვიდა, არა? თქვენ იგრძენით, რომ კრიტიკა უსამართლო იყო და კრიტიკოსებისთვის პასუხის გაცემა გადაწყვიტეთ...

— ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ისინი ტრადიციულად გვიტევდნენ და გადავწყვიტეთ, ჟურნალისტებს საერთოდ აღარ შევხვედროდით. გაზეთებში ისიც კი ეწერა, ფეხბურთელთა ერთი ნაწილის ცოლები ესპანეთში ქმრებთან ჩავიდნენ და ეს ცუდიაო. მოკლედ, გადავწყვიტეთ, პრესასთან ურთიერთობა გაგვეწყვიტა და ეს ძალიან სასარგებლო გადაწყვეტილება გამოდგა.

— მაგრამ პირველი ეტაპზე იტალიის ნაკრებმა დიდი გაჭირვებით გაიმარჯვა. მეორე ეტაპზე კამერუნთან ფრის წყალობით გააღწიეთ. რა ხდებოდა მაშინ გუნდში, რას ფიქრობდით საკუთარ თამაშზე, როგორ გრძნობდით თავს?

— ოთხი წლით ადრე, არგენტინაში თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე ფიზიკურად დავსუსტდით. ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კი საგანგებოდ მოვემზადეთ ისე, რომ ცუდად დავვეწყო და მერე მოგვემატებინა. დიახ, თავიდან ცუდად დავიწყეთ, მაგრამ საკუთარი თავის რწმენა ერთი წამით არ შეგვრყევია. ბეარზოტი ისევ ბოლომდე გვენდობოდა.

— შემდეგ იყო მატჩი არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ, სადაც თქვენ და ანტონიო კაბრინიმ გაიტანეთ გოლები. გახსოვთ ის ემოცია?

— ჩვენ ძალიან ძლიერად ვითამაშეთ ისეთი არგენტინის წინააღმდეგ, რომელშიც პასარელა, მარადონა და სხვა დიდი ვარსკვლავები გამოდიოდნენ. იმ შეხვედრისთვის ჩვენ საუცხოო ტაქტიკა შევარჩიეთ და ორი მშვენიერი გოლიც გავიტანეთ. ჩემს გოლს დღემდე დიდი სიამოვნებით ვიხსენებ. ვფიქრობ, სწორედ არგენტინის კარში შეგდებულმა გოლმა გამომაცოცხლა. მარცხნიდან საჯარიმოში სულ ოდნავ ვიყავი შესული, როდესაც პასი მივიღე, მგონი, ანტონიონიმ მომაწოდა ბურთი. დავარტყი და საოცარი სიხარული ვიგრძენი. ეს საუცხოო განცდა იყო, ჩემი პირველი გოლი მსოფლიოს ჩემპიონატებზე. განცდას, რომელიც მაშინ დამეუფლა სიტყვებით ვერ აღვწერ და არც ის ვიცი, ასეთი გრძნობა საიდან მოდის. მეგონა, ავფეთქდებოდი.

— პასარელამ თავის ინტერვიუში ძალიან გაქოთ. თქვენც ხომ არ შეაქებდით საპასუხოდ არგენტინელებს და პირადად პასარელას?

— არგენტინას მართლაც დიდი გუნდი ჰყავდა და მათ თავიანთი სიძლიერე დიეგო მარადონას წყალობით 1986 წელს დაამტკიცეს კიდეც, მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. მარადონა მართლა რაღაც განსაკუთრებული იყო, სხვა ვილაც ბრძანდებოდა. კიდევ, მათ ჰყავდათ არდილესი და გალიეგო. გალიეგო უფრო ათლეტური ფეხბურთელი იყო, არდილესი კი კულტურული. არგენტინა ძლიერი ევროპული შემადგენლობის მქონე სამხრეთამერიკული გუნდი გახლდათ. ისინი არ ჰყავდნენ



ბრაზილიელებს, რომლებიც თითქოსდა მხოლოდ გართობისთვის თამაშობდნენ და გოლებიც მაშინ გაჰქონდათ, როდესაც სიტუაცია თავად სთავაზობდა ამას. ზოგადად, 1982 წლის ბრაზილია, შესაძლოა, ჩვენზე უკეთესი გუნდი იყო, მაგრამ, ხომ გეუბნებით, თავდამსხმელი არ უვარგოდა. სერჟინიო ზიკოს, სოკრატესისა და ფალკაოს დონის ფეხბურთელი არ იყო. გარდა ამისა, ამ საუცხოო გუნდს დაცვაც არ ჰქონდა უმაღლესი დონის. ბრაზილიას ნებისმიერ წამს შეეძლო გოლის გაშვება. არგენტინა? არგენტინამ ჩვენს წინაალმდეგ საუცხოოდ ითამაშა და პასარელა, როგორც ევროპაში ნათამაშევი ფეხბურთელი, ჩვენს მენტალობას კარგად იცნობდა.

— შემდეგ კი ბრაზილიას „სკალპი ახადეთ“ არა?

— პირადად მე, იმ ჩემპიონატზე, ბრაზილიაზე მეტად საფრანგეთის მეშინოდა. ბედნიერები ვიყავით, საფრანგეთმა გერმანიასთან რომ წააგო, რადგან გერმანიას უფრო რომ მოვუგებდით, ვიცოდით.

— ნახევარფინალური თავგადასავლის შემდეგ ფრანგებს, ალბათ, გერმანელებთან თქვენი გამარჯვება ძალიან გაუხარდათ...

— ფრანგებს მართლაც საფრთხილო გუნდი ჰყავდათ. თან, მათ ასეთ თამაშს არც ელოდნენ, თუმცა მე ვიცოდი, რომ მიშელ პლატინი, ჟან ტიგანა და ბერნარ ლაკომბი ძალიან ძლიერი ფეხბურთელები იყვნენ.

— მაშ, მოდით, პირდაპირ ფინალზე გადავიდეთ, რადგან პოლონეთთან ნათამაშევი ნახევარფინალიდან, წესით, ბევრი არაფერი უნდა გახსოვდეთ...

— ერთი ის მახსოვს, რომ პოლონელები ბონეკის გარეშე იყვნენ და ეს ამბავი დაგვეხმარა. მეტი იმ დღეს სამახსოვრო არაფერი მომხდარა.

— და ფინალი, რომელზეც ისე ვერ ილაპარაკებ, თქვენს ყვირილზე საგანგებოდ თუ არ გაჩერდი. სხვათა შორის, ინტერნეტ-გამოკითხვების თანახმად, თქვენი გოლი გერმანიის ნაკრების კარში ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ გოლად არის აღიარებული. და მაინც, ასე ხმამაღლა რა გაყვირებდათ?

— იმიტომ, რომ მომეშვა. ფინალში გოლი შევაგდე და ოცნება ავიხდინე. იცით, ფეხბურთი ჩემი საქმე იყო, მაგრამ ჩემთვის ის ყოველთვის სიამოვნება გახლდათ. დილით ადგომა და სავარჯიშოდ წასვლა არასდროს დამზარებია. ფეხბურთმა ფიზიკური ტკივილი მრავალჯერ მომაყენა, მაგრამ მორალური არასოდეს. თამაში და მოგება უდიდესი სიამოვნება გახლდათ. სიამოვნების გარდა, ეს იყო პრესისთვის გაცემული პასუხი. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, როგორ მეპყრობოდნენ ჟურნალისტები. ერთი სიტყვით, ჯამში ის დღე ჩემთვის ომში წასვლას ჰგავდა, რომელშიც უნდა მომეგო და მეც გოლი რომ შევაგდე, ვიგრძენი, რომ მიმეშვა.

— მაინც, მაინც... ასეთი ყვირილი როგორ ამოგხდათ?

— ერთხელ ვთქვი, ალბათ, ამ ყვირილით დავიბადე, თორემ იმ წუთის ამბავს არ ჰგავდა-მეთქი. ადამიანი ცხოვრობს თავისი კარგი და ცუდი წამებით, რაღაც მომენტში კი ეს ყველაფერი ერთად იყრის თავს და ამოხეთქავს.





# ბარსელონამ გეზი შეცვალა

**გაბრიელ მილიტოს** „ბარსელონაში“ გადასვლა გართულდა. ესპანურმა გაზეთებმა დაწერეს, ხუან ლაპორტას „ბარსას“ ამ შემთხვევაში „სარაგოსასთან“ სატრანსფერო ჭიდილი გაუძნელდება, რადგან ერიკ აბიდალისა და იაია ტურესგან განსხვავებით („ლიონისა“ და „მონაკოს“ ექსფეხბურთელებმა ფრანგულ კლუბებს მათი „კამპ ნოუზე“ გადაბარგება მტკიცედ მოსთხოვეს), მილიტო არაგონული გუნდის უფროსობაზე დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენს და გარიგებაც ასე ადვილად არ მიიღწევა, როგორც კაატლონიელებს ჰგონიათო.

„სარაგოსას“ პრეზიდენტი აგაპიტო იგლესიასი არგენტინელის სანაცვლოდ 22 მილიონ ევროს მოითხოვს, რომლის გადახდაც ბარსელონელებს ეძნელებათ. მედიის ცნობით, არაგონული კლუბი მილიტოს ტურინის „იუვენტუსში“ გაყიდვით უფრო დაინტერესებული.

და რას ფიქრობს თავად „მარშალი“ თავის მომავალთან დაკავშირებით, ჯერჯერობით უცნობია, თუმც ის უკვე გავიგეთ, გაბრიელის დედა შვილის „ბარსაში“ სავარაუდო გადაბარგებას რა თვალით უყურებს...

„შესანიშნავი იქნებოდა, გაბრიელს კარიერა „ბარსელონაში“ რომ გაეგრძელებინა. მე მომწონს ეს ქალაქი, მისი გუნდი და გულშემატკივრები“ — უთხრა სენიორა მარტა მილიტომ „მარკას“ კორესპონდენტს. დონა მარტამ ისიც თქვა, „ბარსა“ კი, მაგრამ მადრიდის „რეალზე“ რომ იყოს საუბარი, ჩემს შვილს უყოყმანოდ ვურჩევდი, არ გადასულიყოო...

„ყოველ შემთხვევაში, სანამ „რეალში“ ის ექიმები იქნებიან, რომელთაც ჯანმრთელი კაცი აბსოლუტურად უგუნურად ჩამოწერეს და გაანაწყენეს, მჯერა, რომ გაბი „რეალზე“ არც კი იფიქრებს“ — თქვა მარტამ.

და ვითომ „ბარსელონა“ უკვე კახა კალაძეზე დაიწყებს მუშაობას?

ისე ჩანს, საქმე სწორედ აქეთ მიდის...

**ლადო ხომერიკი**

## კივუს დღეს გადაწყვეტენ

**რუმინელი** მცველის, კრისტიან კივუს ამბავი დღეს გადაწყდება „რომასა“ და „ინტერის“ წარმომადგენლების შეხვედრაზე. ფეხბურთელმა „რეალში“ და „ბარსელონაში“ გადასვლა იუარა და თქვა, რომ ან „ინტერში“ ითამაშებს, ან „რომაში“ დარჩება და მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება.

მილანელები კივუში 13 მილიონ გირვანქას იხდიან.

## მეკარე მეკარეს ყიდულობს

**„უდინეზეს“** მეკარე მორგან დე სანქტისი ეგებ პირველი იტალიელი გახდეს, რომელიც საკუთარი კონტრაქტის გამოსასყიდად ფიფას წესს გამოიყენებს.

დე სანქტისს კლუბთან ხელშეკრულება 2010 წლამდე აქვს, მაგრამ წასვლა უნდა, რადგან „სევილია“ და „ბეტისი“ ეპატიჟებიან. 30 წლის გოლკიპერს „უდინეზე“ არ უშვებს, ამიტომ საკუთარი თავის ყიდვა მოუწევს.

## როსის სათადარიგო ბოჟინოვია

**„პარმა“** „ფიორენტინადან“ ბულგარელი ვალერი ბოჟინოვის შეძენას შეეცდება, თუ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პარმელებს ჯუზეპე როსი არ დაუტოვა.

როსი ინგლისურ კლუბს ეკუთვნის და იტალიაშია განათხოვრებული. მის სანაცვლოდ „მანჩესტერს“ 6 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს.

ახლა კი ბულგარელ ბოჟინოვს მიადგნენ, რომელმაც „ფიორენტინას“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი უთხრა და გაყიდვას უპირებენ.

## კასილიასმა ტოლდო მოითხოვა

**„ინტერის“** მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს ყიდვა „რეალს“ და „ბეტისს“ უნდათ. „რეალს“ იკერ კასილიასის შემცვლელი სჭირდება, რადგან დიეგო ლოპესი „ვილიარეალში“ გადავიდა. ამბობენ, რომ თვითონ კასილიასმა ურჩია შეფებს ტოლდოს გადაბირება.

36 წლის იტალიელ მეკარეს „ბეტისიც“ ეპატიჟება, თან ძირითად შემადგენლობაში თამაშს ჰპირდება. ბეტისელთა მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი ტოლდოს კარგად იცნობს, რადგან ერთ ხანს „ინტერში“ მუშაობდა.

## ლაციო ხიმენესს დაემალა

**„ლაციომ“** ჩილელი ნახევარმცველი კრისტიან ხიმენესი შეკრებაზე არ წაიყვანა და ალბათ გუნდიდან გაუშვებენ.

ხიმენესმა ამას წინათ თქვა, რომ „ლაციოში“ დარჩენა აღარ სურს და უკეთეს კლუბში გადასვლას აპირებს. შეკრებაზე არწაყვანის მიზეზიც ესაა.

ჩილელი „ტერნანას“ ეკუთვნის და „ლაციოში“ 2008 წლამდეა განათხოვრებული.

იტალიური მედიის ცნობით, ნახევარმცველის გადაბირებას მილანის „ინტერი“ ცდილობს.

**გაჟა ხუციშვილი**

# იუვეს მუქარის სერია: ინტერს არ გავახარებთ!

**სერია A-ში** დაბრუნებული „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ თქვა, მომავალ სეზონში მილანის „ინტერი“ აუცილებლად უნდა დავამარცხოთო.

მოგეხსენებათ, ამ კლუბების ურთიერთობა მეგობრული არასოდეს ყოფილა. ვითარება შარშან ზაფხულს უფრო გამწვავდა, ყველასთვის კარგად ცნობილი კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ — „იუვე“ სერია A-ში დააქვეითეს და ბოლო ორი ჩემპიონობა ჩამოართვეს. 2005-06 წლების სეზონის სკუდეტო კი სწორედ „ინტერს“ გადასცეს და „ნერაძურიმ“ ამ ტიტულს „პატიოსნების სკუდეტო“ უწოდა.

„მომავალ სეზონში „ინტერი“ უნდა დავამარცხოთ. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. სერია A-ში გასამართ ორ მატჩამდე, რომლებსაც სულმოუთქმელად ველოდებით, მილანელებს რამდენიმე ამხანაგურ ტურნირშიც შევხვდებით. „ნერაძურის“ პრეზიდენტ მასიმო მორატისთან საუბრის და ურთიერთობის პრობლემა არ მაქვს, თუმცა, როცა სერია A-ს მატჩების დრო მოვა, ვითარება ისეთი დაძაბული იქნება, აჯობებს ერთმანეთს არ დავეკონტაქტოთ“ — აღნიშნა კობოლი ჯილიმ.

გავიხსენოთ ისიც, რომ წინა ზაფხულს უკვე სერია B-ში დაქვეითებული „ბებერი ქალბატონისგან“ „ინტერმა“ საკმაოდ იაფად იყიდა ზლატან იბრაჰიმოვიჩი და პატრიკ ვიეირა. ტურინელთა პრეზიდენტის თქმით, ამგვარი რამ აღარ განმეორდება.

ჯოვანი კობოლი ჯილი: „ეს არ მოხდა ამ ზაფხულს და აღარც მოხდება მომავალში. ჩვენ სატრანსფერო ბაზარზე „ინტერთან“ აღარ ვითანამშრომლებთ, სანამ სკუდეტოს არ მოვიგებთ“...

„ბიანკონერის“ პრეზიდენტის ამ სიტყვების მიუხედავად, ამბობენ, „იუვენტუსი“ სერიოზულადაა დაინტერესებული ინტერელი ნიკოლას ბურდისოთიო. ეს 26 წლის არგენტინელი მცველის აგენტმა ფერნანდო იდალგომაც დაადასტურა.

„ტურინელებთან კონტაქტი გვქონდა და ისინი ნამდვილად არიან ნიკოლასით დაინტერესებულნი, თუმცა ბურდისო პროფესიონალია, მას „ინტერთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს და დარჩენა უნდა. მხოლოდ რამდენიმე ფინანსური დეტალი გვაქვს შესათანხმებელი მილანელებთან“ — თქვა იდალგომ.

პარალელურად, „იუვენტუსი“ ისევ მიუბრუნდა ანდრეა ბარძალის. სიცილიური „პალერმოსა“ და იტალიის ნაკრების მცველს დიდი ხანია, სხვა გრანდებსაც უკავშირებენ.

„ვადასტურებ, რომ „იუვენტუსი“ ბარძალის ეპატიჟება, მაგრამ ანდრეა ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოთამაშეა და მისი შენარჩუნება გვსურს“ — განაცხადა „პალერმოს“ სპორტულმა დირექტორმა რინო ფოსკიმ.

აღვნიშნოთ ისიც, რომ „ბებერი ქალბატონი“ ძალიან ახლოსაა „დეპორტივოს“ 29 წლის პორტუგალიელი მცველის, ჟორჟე ანდრადეს ხელში ჩაგდებასთან. მიუხედავად ამისა, ტურინელები სხვა მცველებსაც აკვირდებიან, რაც ალბათ იმას ნიშნავს, რომ კლაუდიო რანიერის, გუნდის ორი მაღალი კლასის ცენტრალური მცველით გაძლიერება სურს.

**გიორგი ქაქაბაძე**



ჯოვანი კობოლი ჯილი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 10 ივლისი | | | | | | |
| 20:15 | 1 | ლინცერი-აუსტრია კ | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 2 | რაპიდი-ტიროლი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 21:30 | 3 | რიდი-მატერსბურგი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 21:30 | 4 | ზალცბურგი-ალტახი | 1.15 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.42 |
| 21:30 | 5 | შტურმი-აუსტრია | 2.75 | 3.10 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.30 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 10 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 20 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 21 | კალმარი-ჰამარბი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 10 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 96 | ურუგვაი- ბრაზილია | 5.50 | 3.50 | 1.40 | 2.13 | 1.11 | 1.00 |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 97 | მექსიკა-არგენტინა | 4.70 | 3.40 | 1.50 | 1.97 | 1.13 | 1.04 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | (20)კანადა | | | | | | |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 100 | ავსტრია 20-გამბია 20 | 3.20 | 3.10 | 2.00 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| 23:45 | 101 | აშშ 20-ურუგვაი 20 | 1.80 | 3.20 | 3.55 | 1.15 | 1.19 | 1.68 |
| 23:45 | 102 | ესპანეთი 20-ბრაზილია 20 | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 103 | იაპონია 20-ნეხეთი 20 | 2.15 | 3.00 | 2.90 | 1.25 | 1.23 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 104 | ზამბია 20-ნიგერია 20 | 3.30 | 3.00 | 1.90 | 1.57 | 1.20 | 1.16 |
| 23:45 | 105 | არგენტინა 20-პოლონეთი 20 | 1.22 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.06 | 2.81 |
| 23:45 | 106 | მექსიკა 20-კონგო 20 | 1.40 | 3.30 | 6.50 | 1.00 | 1.15 | 2.18 |
| 23:45 | 107 | ჩილე 20-პორტუგალია 20 | 2.40 | 3.10 | 2.40 | 1.35 | 1.20 | 1.35 |
| | | აზიის თასი 2007 | | | | | | |
| | | 10 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 75 | ინდონეზია-ბაჰრეინი(ინდონეზია) | 3.85 | 3.20 | 1.80 | 1.74 | 1.22 | 1.15 |
| 16:30 | 76 | მალაიზია-ჩინეთი(მალაიზია) | 7.00 | 3.50 | 1.40 | 2.33 | 1.16 | 1.00 |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 77 | ირანი-უზბეკეთი(მალაიზია) | 1.50 | 3.30 | 5.50 | 1.03 | 1.17 | 2.06 |
| 16:30 | 78 | სამხ.კორეა-ს.არაბეთი(ინდონეზია) | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლინცერი-აუსტრია კ | 2.30 | 2.00 | 3.80 | 1.06 | 1.43 | 1.31 |
| 10002 | რაპიდი-ტიროლი | 1.75 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.35 | 1.60 |
| 10003 | რიდი-მატერსბურგი | 2.40 | 2.00 | 3.50 | 1.09 | 1.42 | 1.27 |
| 10004 | ზალცბურგი-ალტახი | 1.40 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 1.96 |
| 10005 | შტურმი-აუსტრია | 3.10 | 2.00 | 2.65 | 1.21 | 1.42 | 1.13 |
| 10020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 2.60 | 2.00 | 3.25 | 1.13 | 1.44 | 1.23 |
| 10021 | კალმარი-ჰამარბი | 2.40 | 2.00 | 3.35 | 1.09 | 1.39 | 1.25 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ლინცერი-აუსტრია კ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11002 | რაპიდი-ტიროლი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11003 | რიდი-მატერსბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11004 | ზალცბურგი-ალტახი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11005 | შტურმი-აუსტრია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11021 | კალმარი-ჰამარბი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ლინცერი-აუსტრია კ | 1.80 | 1.60 |
| 12002 | რაპიდი-ტიროლი | 1.80 | 1.60 |
| 12003 | რიდი-მატერსბურგი | 1.60 | 1.80 |
| 12004 | ზალცბურგი-ალტახი | 1.90 | 1.50 |
| 12005 | შტურმი-აუსტრია | 1.60 | 1.80 |
| 12020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.80 | 1.60 |
| 12021 | კალმარი-ჰამარბი | 1.80 | 1.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლინცერი-აუსტრია კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | რაპიდი-ტიროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | რიდი-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ზალცბურგი-ალტახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | შტურმი-აუსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | კალმარი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გოლი:ლუწი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლინცერი-აუსტრია კ | 1.85 | 1.95 |
| 17002 | რაპიდი-ტიროლი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | რიდი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | შტურმი-აუსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | კალმარი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლინცერი-აუსტრია კ | 1.34 | 2.80 |
| 16002 | რაპიდი-ტიროლი | 1.11 | 5.70 |
| 16003 | რიდი-მატერსბურგი | 1.45 | 2.45 |
| 16005 | შტურმი-აუსტრია | 1.95 | 1.65 |
| 16020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.55 | 2.20 |
| 16021 | კალმარი-ჰამარბი | 1.45 | 2.45 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 14001 | ლინცერი-აუსტრია კ | 1.70 | 2.20 |
| 14002 | რაპიდი-ტიროლი | 1.20 | 2.60 |
| 14003 | რიდი-მატერსბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14005 | შტურმი-აუსტრია | 2.00 | 1.80 |
| 14020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.80 | 2.00 |
| 14021 | კალმარი-ჰამარბი | 1.75 | 2.10 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

სუმო



# კოკაი ცუპარებზე გატყდა

## ასასიორიუმ -5 დაასრულა

**აიტური** ბაშოს მეორე ტურში ქართველმა კოკაიმ ექსსეკივაკე ხოკუტორიკისთან წააგო. ლევან ცაგურიამ გუშინდელი შეხვედრა ისე დაიწყო, წესით, დაუმარცხებელთა შორის უნდა დარჩენილიყო — მეტოქეს საფირმო ცუპარებით (მკერდში ხელის კვრით) მძლავრად შეუტია. წამიც და საქმესაც მოუმთავრებდა, მაგრამ ბოლო მომენტში ხოკუტორიკიმ მარჯვნივ გადგომა შეძლო და ქართველი ინერციით დავარდა.

სხვა მხრივ მეორე ტურმა სენსაციების გარეშე ჩაიარა, თუ ვეტერან ოძეკ კაიოსა და სეკივაკე ამას წაფორხილებას არ ჩავთვლით. კაიოს „წითელ დრაკონად" წოდებულმა ასასეკირიუმ დასწყვიტა გული, ხოლო ამას — ექსსეკივაკე კოტოსიოგიკუმ.

როგორც იქნა, მოიგო იოკოძუნა ასასიორუმ. „ცისფერმა დრაკონმა" პროფესიული კარიერის უხანგრძლივესი წაგებათა სერია შეწყვიტა. მაისის ბაშოს ბოლო ოთხი ტური ხომ ჩაფლავებული ჰქონდა, ზედ ივლისის ბაშოს ცუდი სტარტიც დაემატა. ზედიზედ ხუთი მარცხი კი დიდ მონღოლს 1999 წლის შემდეგ არ ეწვნია. სწორედ რვა წლის წინ დაადგა ასასიორუ რიკისის გზას.

26 წლის იოკოძუნამ ნავსი იმ ვაკანოსატოსთან გატეხა, რომელმაც შარშან მაისში სამარცხვინოდ მოისროლა მაყურებლებში. დავარდნისას ნატკენი მაჯა კი დროდადრო ახლაც ახსენებს ავადმოსაგონარ ბრძოლას და გუშინდელი გამარჯვებაც მისთვის ალბათ ერთიორად ფასობდა.

ოცდამეერთე საუკუნის მეორე იოკოძუნა ხაკუხო კი პირიქით, მოგებათა სერიას აგრძელებს. მარტის და მაისის იმპერატორის თასების ამწევმა 22 წლის მონღოლმა გუშინ საივლისო მეორე, კარიერაში კი ზედიზედ მეთვრამეტე ქულა მიითვალა. „თეთრ ფენიქსად" მონათლული იოკოძუნას წამქცევი მარტის ბაშოს მერე ჯერ არ გამოჩენილა, გუშინ კი ამ დევკაცმა ექსოძეკი დეძიმაზე გაილაღა.

დღეს იოკოძუნები მეტოქეებს გაცვლიან. სპეციალისტების აზრით, შედარებით დაძაბული ხაკუხო-ვაკანოსატოს რკენა იქნება. აქვე არგუმენტიც — დასავლეთის მეორე მაეგაშირამ „თეთრ ფენიქსს" 2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლის ივლისამდე ზედიზედ ექვსჯერ აჯობა. თუმცა აქვე ვთქვათ, რომ ბოლო სამი შეხვედრა ხაკუხომ მოიგო.

კოკაის დღევანდელი მეტოქე კი ექსკომუსუბი ფუტენოა.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

მანუჩარ მარკოიშვილი კარიერას „ბკ კიევში" გააგრძელებს — იუწყება ვებგვერდი basket.com.ua უკრაინელი ჟურნალისტების თქმით, ქართველმა მსროლელმა კიეველებთან კონტრაქტი უკვე გააფორმა და ამის დასადასტურებლად კლუბის საპატიო პრეზიდენტ ალექსანდრ ვოლკოვის სიტყვები მოჰყავთ.

„ალექსანდრ ვოლკოვმა აღნიშნა, მარკოიშვილი ფინელ ტეემუ რანიკოსთან ერთად სლოვენიური „ოლიმპიას" ლიდერი იყო. კიევში სამუშაოდ ჩამოსვლის შემდეგ ოლიმპიელთა ექსმწვრთნელი ტომო მაჰორიჩი უკვე ცდილობდა ამ ტანდემის უკრაინაში გადმოყვანას. თუმც ეს საქმე სანახევროდ გამოუვიდა. რანიკო „ხიმკიში" გადავიდა, ხოლო მარკოიშვილთან მოლაპარაკება მოხერხდა" — იუწყებიან უკრაინელი ჟურნალისტები.

მანუჩარ მარკოიშვილს რომ გუნდის გამოცვლა უნდა, არახალია. „ოლიმპიაში" სერიოზული ფინანსური პრობლემებია და კარგა ხანია, მოთამაშეებს ხელფასი არ აუღიათ. „ბკ კიევი" რომ ეპატიჟება, მარკოიშვილი არ მალავს, მაგრამ ამბობს, კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებიაო...

# მარკოიშვილის რეალური კიევი

## სლოვენიელებს ქართველი არ ეთმობათ



— „ბკ კიევში" მუშაობს „ოლიმპიას" ყოფილი თავკაცი ტომო მაჰორიჩი, რომელიც კარგად მიცნობს. ამ კლუბმა უკვე შემომთავაზა კონტრაქტი.

**— მერე, შენ რას ფიქრობ?**

— სიმართლე გითხრათ, სხვა ვარიანტი არც მაქვს, „ბკ კიევში" დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

**— უკრაინელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ კიეველებმა უკვე კონტრაქტი გაგიფორმეს...**

— არა, ეს ჯერ ვერ მოხდება. მე მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს „ოლიმპიასთან" და ჯერ ის უნდა დაირღვეს.

**— „ოლიმპია" თავისთავად არ გირღვევს კონტრაქტს, ხელფასს რომ გაძლევს? ეგ კი არა, შუა სეზონში ამბობდი, სხვა კლუბის ვარიანტი რომ გამომიჩნდეს, დაუფიქრებლად გადავალო...**

— კონტრაქტის დარღვევას თავისი პროცედურები აქვს. ჯერ სასამართლოს უნდა მივმართო, რომელიც გამოიკვლევს საქმის ვითარებას და დაადასტურებს, რომ „ოლიმპია" კონტრაქტს არღვევს. ამას დრო უნდა.

**— იგივე წყარო იუწყება, რომ ტეემუ რანიკო „ხიმკიში" გადავიდა. მაშ მან როგორ გაწყვიტა „ოლიმპიასთან" კონტრაქტი?**

— ლიუბლიანელებს რანიკოს მიმართ გაცილებით დიდი დავალიანება ჰქონდათ, ვიდრე ჩემთან. ამიტომაც დათანხმდნენ კონტრაქტის გაწყვეტას. ოღონდ ფინელმა ფული არ მოგვთხოვოსო და უპრობლემოდ გაუშვეს. რანიკოსაც პრობლემა არ ჰქონდა, „ხიმკიმ" ისეთი ძვირფასი კონტრაქტი გაუფორმა, რომ ლიუბლიანელთა დავალიანებას აღარ გამოეკიდა.

**— ახლა რას აპირებ?**

— ვცდილობ, რომ „ოლიმპიასთან" კონტრაქტი გავწყვიტო და თუ ეს პროცესი არ გაიწელა, „ბკ კიევში" გადავალ. უკრაინელებთან უკვე შეთანხმებული ვარ. მაჰორიჩი მეუბნება, რომ ძალიან ვჭირდები და იმედია, ეს მართლაც ასეა.

**— „ოლიმპია" რას გეუბნება?**

— არ უნდა, რომ გამიშვას. მე დიდი ხელფასი არ მაქვს და ლიუბლიანელებს სურთ, რომ როგორმე შემინარჩუნონ. „ოლიმპიას" გამოცდილი ხალხი ჭირდება, ისინი წლეულსაც ევროლიგაზე ითამაშებენ.

**— ევროლიგის ხათრით ხომ არ დარჩებოდი?**

— არა, რადგან „ოლიმპიაში" მეტად არასტაბილური სიტუაციაა. „ბკ კიევი" არანაკლებ პრესტიჟულ ტურნირში, ულებ-ის თასზე თამაშობს.

**ირაკლი პერტაია**

# ნიკა ცქიტიშვილი ზაფხულობით ცქვიტობს



**გამარჯვებით** დაიწყო ლას ვეგასის საზაფხულო ლიგა „დენვერ ნაგიტსმა". ნიკა ცქიტიშვილის ყოფილმა გუნდმა ნიკასვე დახმარებით 108:104 დაამარცხა „ლოს ანჯელეს კლიპერსი".

ცქიტიშვილი ახლა თავისუფალი აგენტია და კვლავ ცდილობს ნბაში დაბრუნებას. პროფესიულ ლიგაში 4 სეზონის გატარების შემდეგ ნიკამ ევროპას მიაშურა და ესპანურ „სან ფერნანდოში" გაიხსენა თამაშის გემო. ახლა ის ისევ ამერიკაშია და საზაფხულო ლიგაში ყოჩაღობით ცდილობს იქაურთა ყურადღების მიპყრობას.

ცქიტიშვილს ყოველთვის ეხერხებოდა საზაფხულო ლიგაში თამაში და ტრადიციისთვის არც ამჯერად უღალატია. ნიკამ დენვერელთა ხუთეულში დაიწყო თამაში და მოედანზე მთლიანობაში 24 წუთზე ოდნავ მეტი გაატარა.

ქართველმა ფორვარდმა 14 ქულას და 7 მოხსნას 3 პასიც მიამატა და რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად დენვერელთა ლიდერად მოგვევლინა. ქულები ქულებად, მაგრამ მათ შეგროვებას ცქიტიშვილმა გვარიანად ბლომად სროლები დააჭირვა. ხუთი შორი სროლიდან მხოლოდ ერთმა უწია მიზანს, ხოლო 12 ორქულიანიდან ნიკამ 5 ჩააგდო.

დენვერელებმა ლოსანჯელესელებს პირველ ტაიმშივე მოუთავეს საქმე, როცა მათმა უპირატესობამ 30 ქულას გადააჭარბა.

შესვენების შემდეგ „კლიპერსის" ახალბედამ, გასულ დრაფტზე მე-14 ნომრად არჩეულმა ალ ტორნტონმა თავი გამოიდო, მაგრამ თავისიანებს ვერაფერი უშველა. ტორნტონი საბოლოოდ 24 ქულით შეხვედრის ბომბარდირი გახდა და „კლიპერსის" ხელმძღვანელობისთვისაც ესაა მთავარი და არა მატჩის შედეგი.

მომდევნო მატჩს დენვერები ხვალ „ნიუ იორკთან" გამართავენ.

**ირაკლი პერტაია**





ბექა ალექსანდრიშვილის ფოტოები



# ნიკოლა ფულკიემ საქართველო დაღალა

**გუშინ** საქართველოს ნაკრები გაფართოებული, მაგრამ არასრული შემადგენლობით თბილისში შეიკრიბა და 28 ივლისამდე ივარჯიშებს. მსოფლიოს თასისწინა თბილისურ შეკრებაზე ჩვენები ძირითადად ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე იმუშავებენ, რომელშიც მათ ახლადნიშნული ფიზმომზადების ფრანგი მწვრთნელი ნიკოლა ფულკიე დაეხმარება. ნაკრების წევრებისგან ადრეც გაგვიგონია, რომ ფულკიე თავისი საქმის პროფესიონალია, რაშიც გუშინ თავად დავრწმუნდით.

ფრანგ მწვრთნელებს აქამდეც უმუშავიათ საქართველოს ნაკრებში, მაგრამ ფულკიეს სტილი განსხვავებული და ორიგინალურია. თავიდან მან ორად გაყო შეკრებილები და ხელჩაკიდებულნი სპრინტში ავარჯიშა, მერე ჰქონდა დინამიკური გაწელ-გამოწელვა და ბურთიანად კუნთების გასახურებელი ვარჯიშები. ერთი სიტყვით, ფულკიემ თავისი საქმისა რომ იცის, გუშინაც გამოჩნდა და თან არაქათგამოცლილი მორაგბეებისგან კომპლიმენტებიც დაიმსახურა.

სახალისო იყო, ფულკიეს დასჯის მეთოდიც. ბიძინა სამხარაძეს, მალხაზ ურჯუკაშვილსა და ირაკლი მაჩხანელს ვარჯიშზე რამდენიმე წამი დააგვიანდათ, ფულკიემ ისინი ორი საათის განმავლობაში დაცემამდე ავარჯიშა, მერე კი სასჯელად „მიხეილ მესხის" სტადიონის ტრიბუნებზე ბოლომდე არბენა-ჩარბენა გამოუწერა.

თავში ვთქვით, რომ ნაკრებმა გაფართოებული, მაგრამ არასრული რაზმით ივარჯიშა. გუშინდელ ვარჯიშზე არ იყვნენ პალიკო ჯიმშელაძე, შალვა სუთიაშვილი, გიორგი კაჭარავა და ირაკლი გიორგაძე. ჯიმშელაძე და გიორგაძე საფრანგეთიდან გუშინ უნდა ჩამოფრენილიყვნენ თბილისში, კაჭარავამ და სუთიაშვილმა კი ამ უქმეებზე მოსკოვის შვიდკაცაზე ირაგბეს და ნაკრებს დღეს შეუერთდებიან.

მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი ამ შეკრებაზე არა, მაგრამ სწორედ ამ შემადგენლობიდან შეარჩევს იმ ოცდაათ რაზმელს, სამსოფლიოსთასო განაცხადში რომ მოხვდება.

**ბაჩო სვანიძე**

# სოჭის გამარჯვების 1001 რეცეპტი

**გვატემალიდან დაბრუნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც იქ გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-ე სესიას ესწრებოდა და გვატემალურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს**



რუსეთის დელეგაციის ერთ-ერთი სახე, ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ პლიუშჩენკო და ემზარ ზენაიშვილი

**— სესიაზე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშების მასპინძლად სოჭის არჩევანს „სარბიელმა" საკმაო ადგილი დაუთმო, მაგრამ საინტერესოა თქვენი, როგორც იმ ყოველივეს მხილველის შთაბეჭდილებები და მოსაზრებები. მაინც, რამ განაპირობა სოჭის გამარჯვება პიონჩანსა და ზალცბურგზე?**

— ძალიან ბევრისთვის სოჭის გამარჯვება მართლაც მოულოდნელი იყო, მაგრამ ეს სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა. რუსებს ჰყავდათ ძალიან ძლიერი, ჭკვიანი ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საგანაცხადო ჯგუფი. საინტერესოა, რომ ეს ის ჯგუფი არაა, რომელმაც თავდაპირველად საქმიანობა დაიწყო. იგი ჩამოყალიბებიდან ექვსი თვის მერე შეცვალეს, რამაც აშკარად გაამართლა.

სოჭის გამარჯვების მეორე განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ფინანსური უზრუნველყოფა, რაშიც არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ. ამ საქმეში ლომის წილი შეიტანა რუსმა მილიარდერმა პოტანინმა, რომელიც ძალიანაა დაინტერესებული სოჭში ზამთრის კურორტის განვითარებით.

რუსების წარმატება დიდად განაპირობა ძალიან ძლიერმა საკონსულტაციო გუნდმა, რომელიც უცხოელებისგან იყო დაკომპლექტებული. საკმარისია ითქვას, რომ ეს ის გუნდია, რომელმაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო ბრძოლაში, თითქოსდა უკვე გამარჯვებული პარიზი ლონდონს დაამარცხებინა. ისიც საინტერესოა, რომ ამ გუნდში მთავარი დამრტყმელი ძალა იყო ამერიკელი ტერენსი, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბორჯომის საგანაცხადო კომიტეტის კონსულტანტად გვსურდა გვეხილა. იგი ამისთვის გვყავდა თბილისში, ბორჯომში, ბაკურიანში, მაგრამ ბოლოს თანამშრომლობაზე ვერ შევთანხმდით, ამის მერე კი იგი უმალ რუსებმა გადაიბირეს.

სოჭის გამარჯვება განაპირობეს მისმა ლობისტებმა და იმ უდიდესმა მხარდაჭერამ, რომელიც ქალაქს სახელმწიფომ აღმოუჩინა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მხარდაჭერა, რომელსაც რუსეთის ვიცე-პრემიერისგან და ეკონომიკური განვითარების მინისტრებისგან გრძნობდნენ. აღარაფერს ვამბობ სოჭის გუბერნატორის და თავად ქალაქის მერის განსაკუთრებულ მონდომებაზე.

დაბოლოს, სოჭს გაამარჯვებინა საგანაცხადო გუნდის ბრწყინვალე კაპიტანმა, როგორც თავად რუსები ვლადიმირ პუტინს უწოდებდნენ.

**— დიახ, ყველა აღნიშნავდა სესიაზე პუტინის ბრწყინვალე გამოსვლას, რომელმაც საზოგადოებასთან მიმართვა ინგლისურად დაიწყო, ესპანურად გააგრძელა და ფრანგულად დაასრულა.**

— ეს მართლაც დიდი სიურპრიზი იყო, რითაც ყველა გააკვირვა, მათ შორის რუსებიც, რომლებმაც უცხოელებივით არ იცოდნენ, თუ იგი ასე კარგად ფლობდა ამ ენებს. იგი უბრალოდ დაზეპირებულ ტექსტს კი არ კითხულობდა, არამედ გააზრებულად, გამართულად საუბრობდა.

**— მიმომხილველები იმასაც ამბობდნენ, სოჭს, შესაძლოა, პუტინის ერთმა ფრაზამ გაამარჯვებინა, როცა თქვა, სოჭში თოვლს პირადად გპირდებით. იქ რამდენიმე დღის წინათ ვიყავი და თხილამურებით ვისრიალეო.**

— პუტინმა ეს ბოლოს თქვა, როცა კითხვებით მიმართეს. ეს კითხვები, ისე, როგორც ავსტრიელების და კორეელების ლიდერების მიმართ, ძირითადად სპორტულ ბაზებს, კლიმატურ პირობებს და თოვლისა თუ უთოვლობის პრობლემებს შეეხებოდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვლადიმირ პუტინი სოჭის პრობლემებით მუდამ პირადად ინტერესდებოდა და საქმის ვითარებას ყველა ეტაპზე კარგად იცნობდა. იგი ერთად თუ ცალ-ცალკე პირადად რამდენჯერმე შეხვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს უცხოეთში, მოსკოვში თუ სოჭში. როგორც თავად რუსებმა გვითხრეს, იგი მათთან ერთად სადილობდა, ვახშმობდა და სეირნობდა. ამ ყოველივემ სოჭის გამარჯვება განაპირობა, პიონჩანს კი ვერც გვატემალაში მისი პრეზიდენტის ჩასვლამ უშველა და ვერც ამ ქვეყნიდან სოკ-ის ერთ-ერთმა წევრმა, „სამსუნგის" პრეზიდენტმა ლი კუმ ჰიმ, რომლის კომპანიაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი სპონსორია.

**— ვარაუდობდნენ, რომ სოჭის დამარცხების უმთავრესი ფაქტორი ამ ქალაქის მშფოთვარე კავკასიაში მდებარეობა იქნებაო. აქეთ აფხაზეთი და ცხინვალი, იქით ჩეჩნეთი და ყარაბაღი...**

— ამაზე საუბარი არც ყოფილა. კითხვაც კი არავის დაუსვამს. ეტყობა, ეს საკითხი სოკელებს ნაკლებად აღელვებთ. ყურადღება შედარებით გაამახვილეს ოლიმპიადის უსაფრთხოებაზე. სოჭში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის წევრთა ჩასვლასთან დაკავშირებით ოლიმპიადის უსაფრთხოების კონცეფცია შეიმუშავეს. გათვლების შესაბამისად, ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის სამართალდამცავი ორგანოების 54 ათასი თანამშრომელი დასაქმდება, მათ შორის 19 ათასი მილიციელი და შინაგანი ძალების წარმომადგენელი იქნება. რუსები ამბობენ, რომ ისინი კარგად იცნობენ სოლტ ლეიკ სიტის „თეთრი" და ათენის „მწვანე" ოლიმპიადებზე პოლიციელთა მუშაობის მეთოდიკას. ამასთან, ირწმუნებიან, რომ თავლყურს ადევნებენ და ზომებსაც ღებულობენ ანტიგლობალისტებისა და ექსტრემისტული მიმართულების დაჯგუფებების წინააღმდეგ. ამისთვის რუსეთის სამართალდამცავები ინგლისში, გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში მივლინებებით იყვნენ.

**— ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის დასკვნები, რომლებიც კანდიდატ ქალაქებში მათი უშუალო მოგზაურობების შთაბეჭდილებებს ეფუძნება, არავის აინტერესებს.**

— ეტყობა, ამ კომისიის დასკვნები გადამწყვეტი მართლაც არ არის. ამ დასკვნების მიხედვით პიონჩანს უნდა გაემარჯვა, უფრო ადრე პარიზს და არა ლონდონს. მანამდე ათენს და არა ატლანტას...

**— გვატემალაში სოკ-ის წევრებმა ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დაფუძნება დაამტკიცეს. თქვენ რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— ამ ფაქტს, ცხადია, მივესალმები. გვატემალაში შეკრებილთა უმეტესობამ ეს გადაწყვეტილება, შეაფასა, როგორც ისტორიული. ამბობდნენ, დღეს ისტორიული დღეაო და ამას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგს პირადად ულოცავდნენ.

უკვე მრავალი წელია, რაც სოკ-ის სესიებს ვესწრები, მაგრამ არ მახსოვს, რომ იქ რეგლამენტი დარღვეულიყოს. ახლა კი ახალგაზრდულ თამაშებზე მსჯელობამ დაგეგმილს მთელი საათნახევარით გადააჭარბა.

**— რატომ, საკამათო იყო ეს გადაწყვეტილება?**

— პირიქით, მაგრამ საუბარი დეტალებზე იყო. მაგალითად, ითქვა, რომ ამ თამაშებს დიდი და ძლიერი ქვეყნები თუ გასწვდებიანო, მაგრამ ყველა დაამშვიდეს, რომ დიდი ოლიმპიადების მსგავსად, სპორტსმენებისა და დელეგაციების ოფიციალური წევრების მგზავრობის ხარჯებს სოკ-ი გაიღებსო. სოკელები ამბობენ, ჩვენი ორგანიზაციისთვის საამისოდ 30-40 მილიონ დოლარი პრობლემა არაა, აღარას ვამბობთ „თეთრ" ოლიმპიადებზე, რაც 15-20 მილიონი დაგვიჯდებაო.

**— სად და როდის გაიმართება ეს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები?**

— 2010 წელს, ოღონდ სად, ეს მოგვიანებით გადაწყდება.

**— მისი შეჯიბრებათა პროგრამა როგორიღა იქნება?**

— დიდი ოლიმპიადების ანალოგიური, ოღონდ თითოეულ სახეობაში დისციპლინათა პროგრამა რამდენადმე შემცირდება.

**ავთანდილ გურასაშვილი**






# სია შეივსო, მთავარი კაცი ჩოჩოღლი იქნება

**ბალავაძე-კარტოზიას**

სახელობის თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს 13 ქვეყნის 125 მოჭიდავე ესტუმრება. საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში განაცხადებების მიღება დასრულდა. უკვე ყველა მონაწილე დელეგაციის ჩამოსვლა-გამგზავრების თარიღებიც დაზუსტებულია. მეტიც, სამი ქვეყნის ნაკრები ერთი კვირაა, რაც თბილისშია. იაპონელი, ჩინელი და სომეხი თავისუფლები და ბერძენ-რომაელები ტურნირისთვის ქართულ გუნდებთან ერთად ემზადებიან. შეჯიბრამდე ორი დღით ადრე მათ ამერიკელები, ებრაელები და ესტონელები შეუერთდებიან. მერე კი აზერბაიჯანელები, უკრაინელები, უზბეკები, რუსები, ბერძნები, ინდოელები და თურქებიც ჩამოვლენ.

ქართული გუნდების თავკაცებმა ბეგი დარჩიამ და ზაზა თურმანიძემ გლდანში მდებარე ოლიმპიური რეზერვების ცენტრში დაახლოებით 30-30 შეგირდი იახლეს. ხალიჩაზე კი თითოეულ წონით კატეგორიაში 6-7 მოჭიდავეს გაიყვანენ, ჯამში 45-50-ს. მასპინძლების რაოდენობაზე საერთაშორისო ფედერაციიდან შეღზუდვა არაა და ორგანიზატორებიც მაქსიმალურად ცდილობენ, შანსი რაც შეიძლება მეტ ქართველს მისცენ. ტურნირის შედეგებით ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობა უნდა გამოიკვეთოს. სეზონის უმთავრეს შეჯიბრს სექტემბერში ბაქო უმასპინძლებს და მასზე მედლებთან ერთად ოლიმპიური ლიცენზიებიც გათამაშდება. ასე რომ, „ქარიშხალას" დარბაზს უცხოელებიც რომ არ მოსძალებოდნენ, მარტო შიდა კონკურენციის ნახვაც ერთ რამედ ღირდა. აქედანვე ცნობილია, რომ საჭიდაოდ ნაკრების ყველა წევრი და კანდიდატი გავა, ტრავმირებულთა გარდა.

ბერძენ-რომაელები ორ ლიდერს, მანუჩარ კვირკველიას და რამაზ ნოზაძეს მოისაკლისებენ. ევროპის მოქმედი ჩემპიონები გაზაფხულზე ბელგრადში მიღებულ ტრავმებს ჯერაც იშუშებენ, თუმცა წინასატურნირო შეკრებაზე ორივე გუნდთან ერთადაა და შეძლებისდაგვარად იტვირთება.

თავისუფალთა დანაკლისზე ჯერ არავინ საუბრობს. ის კი არა, ლუკა კურტანიძეც აპირებს ხალიჩაზე გასვლას. მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა არცთუ დიდი ხნის წინ სპორტული კარიერის დასრულება გადაწყვიტა. თბილისურ ტურნირზე გამოსვლით კი ერთგულ გულშემატკივართან გამოთხოვებას აპირებს.

14-15 ივლისს „ქარიშხალაში" სამი ხალიჩა გაიშლება. როგორც გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, დარჩენილ დღეებში დარბაზში მოსაპირკეთებელი სამუშაოები დასრულდება. ტურნირის მთავარი მსაჯი კი თურქი იბრაგიმ ჩოჩოღლი იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ერთი მილიონის ოთხი კანდიდატი

## ოქროს ლიგის ოქროს ზოდებს მსურველები შემოაკლდა



ელენა ისინბაევა

AFP პარიზიდან

**ფავორიტთა** დაღმასვლა ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა, ჯეკ პოტის მფლობელი ოქროს ლიგას ბოლოს არავინ შერჩება. პარიზში ექვსი ეტაპიდან მეორე ჩატარდა და მილიონის ღირებულების ოქროს ოთხი პრეტენდენტიღა შერჩა. ერთხელაც შეგახსენებთ, რომ მილიონის ოქროს ის რჩეული ერთეულები გაიყოფენ, რომლებიც თავის დისციპლინაში ამ კომერციული ლიგის ექვსივე ეტაპს მოიგებენ.

წინასწარ დათქმულ 10 სახეობაში ოსლოში გამარჯვებული ათეულიდან პარიზში მხოლოდ 4-მა იყოჩაღა, სხვები კი დაემშვიდობნენ ლიგის ოქროებზე ოცნებას. კაცთა 100 მეტრში არ ურბენია სპრინტის მეფე ასაფა პაუელს, რომელიც მცირედ ტრავმირებულია და თავს აგვისტოში იაპონურ ოსაკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ინახავს. სხვა 9 ოსლოელი გამარჯვებული დიდი იმედ-ამბიციებით ჩავიდა პარიზში, მაგრამ იქიდან მხოლოდ ოთხი წამოვიდა კმაყოფილი. ესენი არიან: მიშელ პერი (ქალთა 100 მეტრი თარჯრბენი), სანია რიჩარდსი (ქალთა 400 მეტრი), ელენა ისინბაევა (ქალთა ჭოკით ხტომა) და ერთადერთი კაცი ტერო პიტკამაკი (შუბის ტყორცნა).

ფინელ შუბოსან პიტკამაკის გაუმართლა, რომ მისი მუდმივი მოწინააღმდეგე, ნორვეგიელი ანდრეს ტორკილდსენი რატომღაც ფორმაში ვერაა და მკლავს ძველებურად ყოჩაღად ვერ შლის. ახლაც, ნორვეგიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა სულ რაღაც 83,45 მეტრზე ტყორცნა შუბი და პიტკამიკის ვინ დაეძებს, ამერიკელ ბრიუ გრირსაც კი ჩამორჩა. პიტკამიკი კი მართლაც შეუდარებელი იყო, კუთვნილი 6 ცდიდან 5 ლეგალურად შეასრულა და ამ ხუთიდან სამი ისე ტყორცნა, რომ ნებისმიერით მოიგებდა პარიზულ ტურნირს — 87,71, 87,88, ბოლოს კი 89,70 მეტრზე ტყორცნა შუბი და ნებიერად გამოვიდა მინდვრიდან.

ელენა ისინბაევა ორი წლის წინ ჭოკს ისე მარჯვედ ხმარობდა, არქიმედეს რომ ენახა, იტყოდა, აი, ჩემი თეორიის პრაქტიკაში დამდასტურებელიო. მაგრამ წინა სეზონში ისინბაევამ ისე მაღლა ვერ იფრინა, როგორც მანამდე, და მაინცდამაინც არც წლეულს ჩანდა. ტრავმა არ ჰქონია და ვინძლო უბრალოდ მობეზრდა დანარჩენი მსოფლიოს ზემოდან ცქერა. ახლა კი ისინბაევა საკუთარ თავს დაემსგავსა, როდესაც ჭოკის დაბჯენით 4,91 მეტრზე გადებულ თამასას გადაავლო კუნთმაგარი და იმ თავის ჭოკზე უფრო მოქნილი სხეული და სეზონის რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც რატომღაც მავან ამერიკელ ჯენიფერ სტუჩინსკის ეკუთვნოდა (4,88).

რაკი ოქროს ლიგის მიჯრით მეორე ეტაპის გამარჯვებულად დაიგულა თავი, ისინბაევამ, ბარემ რეკორდსაც გავეთამაშებიო და 5,01 მეტრს შეუტია, მაგრამ სულ ტყუილად.

ქალთა 100 მეტრი თარჯრბენის პრეტენდენტმა მიშელ პერიმ ოსლოში 12,51 წამში იმარჯვა, პარიზში კი ოდნავ უარესი შედეგით, 12,56 წამით მოიგო და ოქროს მაძიებელ ელიტაში შეინარჩუნა ადგილი. არ გაუმართლა პერის თანამემამულესა და აშშ-ს ჩემპიონატზე ამ ორიოდ კვირის წინ მის მძლეველ ჯინ პაუელს, რომელმაც რიგიანად კი დაიწყო, მაგრამ ერთ-ერთ თარჯს გამოედო და საშინელი ძალით დაეხეთქა სარბენ ბილიკს. ძნელი სათქმელია, რამდენადაა დამტვრეული ამერიკის ჩემპიონი და რა დროში დაუბრუნდება სარბენ ბილიკს. ისე, ასეთი დაცემის შემდეგ ზოგი კარგა ხანს ვერ ახერხებს გონზე მოსვლას.

პერის ზურგსუკან მეორე ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონმა, შვედმა სუზანა კალურმა (12,68).

მეოთხე, ვინც ოქროს მსურველთა შემადგენლობაში დარჩა, ამერიკელი 400-მეტროსანი ქალი სანია რიჩარდსი გახლავთ. 2006 წლის საუკეთესო მძლეოსანი ქალი მთელი ძალით ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ამერიკის ჩემპიონატზე დაკავებული მეოთხე ადგილი (ამის გამო ის ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე საყვარელ 400-მეტრიან გარბენს დააკლდება) ბრმა შემთხვევითობა იყო და რომ კვლავაც ისაა ამ დისციპლინის დედოფალი. პარიზში ის ერთობ კონცენტრირებული და ამავდროულად თავდაჯერებული გახლდათ და აკი გამარჯვებას სეზონის რეკორდიც მიითვალა — 49,52 წამი. „თავს კმაყოფილად და ძალიან ბედნიერად ვგრძნობ — ამბობდა მოგვიანებით რიჩარდსი — წლეულს ჩემი მთავარი ამოცანა ოქროს ლიგის მოგებაა. უარს არც 200 მეტრზე ოსაკას რაიმე სინჯის მედალზე ვიტყოდი.

იყო შანსი, ოქროსმაძიებელთა მოკლე სიაში სამხტომელი კრისტიან ოლსონიც ამოგვეკითხა. ლიგის შეფებმა სამხტომი სწორედ შვედი ვარსკვლავის ხათრით შეიტანეს „ოქროს" პროგრამაში, მაგრამ ოლსონი წინა ეტაპზე ჩაფლავდა — ოსლოში მან 17,33 შედეგი აჩვენა და მხოლოდ ორი სანტიმეტრით წააგო ბრიტანელ ფილიპს იდოუსთან. მართალია, პარიზში ოლსონმა 17,56 მეტრიანი ნახტომით იოლად მოიგო, მაგრამ წარსულს ველარ დააბრუნებს, ოქროს ლიგაში ერთი წაგება ოქროსთან გამოთხოვებას ნიშნავს.

მთელი თანავარსკვლავედი შეიყარა კაცთა 110 მეტრ თარჯრბენზე. ამ სახეობას პრაქტიკულად არავინ აკლდა — მსოფლიოს რეკორდსმენი ლიუ სიანი, მსოფლიოს ჩემპიონი ლუი დიუკური, მსოფლიოს ყველა დროის მეორე შედეგის მპყრობელი დომინიკ არნოლდი, კუბელი ვარსკვლავბიჭუნა დეირონ რობლესი... მოკლედ, ყველა პარიზში იყო და ამ კომპანიაში თითქოს უშანსოდ ჩანდა ოსლოს ეტაპის მომგები ამვარ მური (მხოლოდ მეხუთე ადგილი შტატების ჩემპიონატში). თუმც მურმა არც ახლა შეირცხვინა თავი, 13,13 შედეგი აჩვენა და რობლესთან ერთად გადაკვეთა ფინიში. ფოტოფინიშმა კუბელს არგუნა გამარჯვება, ასე რომ, მური „ოქროს შემადგენლობიდან" ამოვარდა (ადრე თუ გვიან მაინც ამოაგდებდნენ). ლიუ სიანი 13,15 წამით მესამე იყო, დიუკური მხოლოდ მეექვსე (13,27), არნოლდს კი სამარცხვინო მეშვიდე ადგილი შეხვდა.

საინტერესო გამოვიდა ქალთა სიმაღლეზე ხტომა. სეზონის რეკორდსმენმა (2,04 მეტრი), ხორვატმა ბლანკა ვლასიჩმა 2,02 მეტრზე ისკუპა და 2 სანტიმეტრით დაბლა დატოვა რუსი ფავორიტი ელენა სლუსარენკო.

**კოტე ყორშია**

# ტომასი კუნძულიდან ახტა და ევროპაში დახტა

**ევროპაში** ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტით განთქმულ ესპანურ სალამანკას ახლა სამძლეოსნო მიღწევებითაც შეუძლია დაიტრაბახოს. ამ ქალაქის კოხტა სამძლეოსნო მოედანზე მსოფლიოს სამი ხმაურიანი რეკორდია დამყარებული — 1995 წელს სალამანკაში შეასრულა ლეგენდარულმა ბრიტანელმა სამხტომელმა ჯონათან ედვარდსმა 18,17-მეტრიანი ნახტომი. ცოტა ადრე კი იქ კუბელი სიმაღლეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორი დაფრინავდა, 1988 წელს მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ხუთი წლის შემდეგ კი იქვე შეასრულა ის ცნობილი 2,45-მეტრიანი ნახტომი, რომელსაც მას შემდეგ ახლოსაც კი ვერავინ გაეკარა.

სოტომაიორი მძლეოსნობის დინოზავრია — თვითონ წავიდა, ხოლო ვინც დარჩნენ, ისინი ქვევიდან აღფრთოვანებულები შესცქერიან მის დანატოვარს. ახლა კი დიდი კუბელის ნაცვლად მოედანზე კიდევ ერთი შავტუხა კარიბელი გამოჩნდა, რომელიც სოტომაიორის რეკორდს თუ ვერა, თავისი ეპოქის მთავარ ჯილდოებს კი ნამდვილად შეეტოტება.

ბაჰამის კუნძულების შავი შვილი დონალდ ტომასი სალამანკაში 2,35-მეტრიან თამასას გადაევლო და სეზონის რეკორდი გამოაცხო. ამ ჯეელს სამიოდ დღის წინ შეუსრულდა 23 წელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს წლოვანება მძლეოსნობაში თუნდაც ველორბოლისგან განსხვავებით, ახალბედის ასაკად ნამდვილად არ ითვლება, ტომასი სწორედ ახლა აცნობს თავს სპორტის დედოფლის თაყვანისმცემლებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის მანამდე კალათბურთში ცდიდა თავს და მძლეოსნობაში სულ რაღაც ერთი წელი წინ შემოაბიჯა.

იანვარში ტომასმა ჭერქვეშა ტურნირზე 2,30 მეტრი დაძლია და მაშინ უთქმელად განაცხადა, სხვა დროს დიდ ტურნირებზე მეც შემიგულეთო. სალამანკაში კი მან ფაქტობრივად საკუთარი თავი ელიტაში ჩაწერა. ტომასმა თავიდან 2,19-ით დაიწყო და ამ სიმაღლესაც და მომდევნო 2,21-საც თითო ცდა ამყოფინა. შემდეგ 2,25-ზე შეტევისას შეცდა და მხოლოდ მეორე ცდაზე იმარჯვა, მაგრამ 2,31-ს უიოლესად გადაევლო და პირადი რეკორდი გააუმჯობესა. ჟურნალისტებმაც თვალი ჭყიტეს — ეს ვინღააო. როგორც წესი, მძლეოსნობას ჟურნალისტთა საკუთარი ამქარი ჰყავს. ყველამ იცის, ვინ, სად, როდის, რამდენზე გადხტა, ისროლა, გაირბინა და ასე შემდეგ, მაგრამ ამ ბაჰამელისა ბევრს არაფერი სმენოდა. ტომასი არც 2,31 მეტრზე გაჩერდა, 2,35-ს შეუტია და აქ სერიოზულად შეფერხდა, სამივე ცდა დახარჯა და ასე დაძლია სიმაღლე, რომელიც წლეულს არავის აუღია. რომ ჰკითხეს, რატომ 2,38-ზე არ გაიწიეო, მშვიდად მიუგო — მე ამ საქმეში ახალი კაცი ვარ და თანდათან ვეჩვევი, არ შეიძლებოდა, ერთბაშად დავხარჯულიყავი და თავი ლოზანას გრან პრისთვის შემოვინახეო.

„უნიჭიერესი ბიჭია — ამბობს ერთი მისი კონკურენტთაგანი, რომელიც ბევრად მეტ თამასას გადავლებია, მაგრამ არა ამ სიმაღლეს — მას თითქმის არ აქვს ტექნიკა და ეს ბუნებრივი ნიჭის ხარჯზე შეძლო. რომ დაიხვეწება, მერე დავდგეთ და ყველამ ერთად ვუყუროთ, რას იზამს."

თავის ნიჭიერებაზე თავად ტომასიც მაღალი წარმოდგენისაა: „ამ შედეგს ოდნავადაც არ გავუოცებივარ. ვარჯიშზე 2,39-იც გამიკეთებია, ასე რომ, ამ სიმაღლის ოფიციალურ ტურნირზე დაძლევა მხოლოდ დროის ამბავია."

**კოტე ყორშია**




დონალდ ტომასი

# სარეიტინგო ადი-ჩადი



ირაკლი ლაბაძე

**მოსალოდნელი** მოხდა — წლეულს უთამაშებელ ირაკლი ლაბაძეს შარშანდელ უიმბლდონზე მოპოვებული ბლომად სარეიტინგო ქულები გამოაკლდა და შედეგად, ყველაზე ტიტულიანი ქართველი ჩოგბურთელი კლასიფიკაციაში 823-ეა და საქართველოს პირველ ჩოგნადაც აღარ იწოდება — მასზე წინ, 527-ე ადგილზე ლადო ჩიხლაძეა, რომელმაც თავის მხრივ 69 საფეხურით უკან დაიხია.

ქალთა რეიტინგში მყოფი ჩვენებურების პოზიციებს ასეთი მკვეთრი ცვლილებები არ განუცდიათ. უმრავლესობამ, პირველი ჩოგნის, მაკა ჩახნაშვილის თამადობით რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია, ხოლო ორმა, კერძოდ სალომე დევიძემ და სოფო მელიქიშვილმა მცირედით უკან დაიხიეს.

სულ რეიტინგში, კვლავაც 16 ჩვენებურია — სამი კაცი და ცამეტი ქალი.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 547(-69) | ლადო ჩიხლაძე | 42 |
| 823 (603) | ირაკლი ლაბაძე | 15 |
| 1335 (+4) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 145 (+2) | მაკა ჩახნაშვილი | 226,5 |
| 385 (+3) | ანა ტატიშვილი | 52,25 |
| 615 (+14) | სოფო შაფათავა | 21,0 |
| 645 (-27) | სალომე დევიძე | 18,75 |
| 667 (-11) | სოფო მელიქიშვილი | 17,0 |
| 74? (+3) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 773 (+6) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 783 (+7) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 954 (+6) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1063 (+11) | თინა ყაველაშვილი | 5,0 |
| 1086 (+8) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1266 (+12) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1291 (+13) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2 რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5225 |
| 3 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3310 |
| 4 ენდი როდიკი (აშშ) | 3230 |
| 5 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3185 |
| 6 ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2780 |
| 7 რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 2220 |
| 8 ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2200 |
| 9 ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2075 |
| 10 ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 2045 |
| 11 ტომი ჰაასი (გერმანია) | 2035 |
| 12 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1940 |
| 13 ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1935 |
| 14 მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1875 |
| 15 დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1610 |
| 16 გილერმო კანასი (არგენტინა) | 1607 |
| 17 ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1505 |
| 18 მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1370 |
| 19 ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1335 |
| 20 კარლოს მოია (ესპანეთი) | 1260 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1 რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 886 |
| 2 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 801 |
| 3 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 561 |
| 4 ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 5 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 325 |
| 6 ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 293 |
| 7 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 280 |
| 8 რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 257 |
| 9 მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 249 |
| 10-11 გილერმო კანასი (არგენტინა) | 241 |
| 10-11 ტომი რობრედო (ესპანეთი) | 241 |
| 12 ტომი ჰაასი (გერმანია) | 240 |
| 13 ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 239 |
| 14 მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 227 |
| 15 დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 220 |
| 16 ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 17 ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 208 |
| 18 ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 204 |
| 19 კარლოს მოია (ესპანეთი) | 198 |
| 20 ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 179 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1 რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 3 297 545 |
| 2 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 2 660 645 |
| 3 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1 575 055 |
| 4 ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 924 980 |
| 5 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 835 220 |
| 6 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 731 680 |
| 7 მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 698 835 |
| 8 ენდი როდიკი (აშშ) | 692 420 |
| 9 ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 691 320 |
| 10 გილერმო კანასი (არგენტინა) | 668 045 |
| 11 ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 612 835 |
| 12 ტომი ჰაასი (გერმანია) | 595 590 |
| 13 ტომი რობრედო (ესპანეთი) | 580 572 |
| 14 ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 544 955 |
| 15 დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 531 672 |
| 16 მაიკ ბრიანი (აშშ) | 518 835 |
| 17 ბობ ბრიანი (აშშ) | 515 010 |
| 18 კარლოს მოია (ესპანეთი) | 504 290 |
| 19 მარკოს ბაღდატისი (კვიპროი) | 449 110 |
| 20 იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 410 550 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4457 |
| 2 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3678 |
| 3 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3241 |
| 4 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2978 |
| 5 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2898 |
| 6 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 7 სერენა უილიამსი (აშშ) | 2380 |
| 8 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2221 |
| 9 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2002 |
| 10 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1973 |
| 11 მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1875 |
| 12 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1857 |
| 13 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1845 |
| 14 დინარა საფინა (რუსეთი) | 1742 |
| 15 ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1699 |
| 16 პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1671 |
| 17 ვინუს უილიამსი (აშშ) | 1655 |
| 18 შაჰარ პირი (ისრაელი) | 1529 |
| 19 ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1410 |
| 20 ნა ლი (ჩინეთი) | 1159 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3245 |
| 2 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2990 |
| 3 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2431 |
| 4 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2161 |
| 5 სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 6 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1785 |
| 7 ვინუს უილიამსი (აშშ) | 1630 |
| 8 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1495 |
| 9 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1463 |
| 10 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1421 |
| 11 მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1420 |
| 12 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 13 დინარა საფინა (რუსეთი) | 1336 |
| 14 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1288 |
| 15 შაჰარ პირი (ისრაელი) | 1222 |
| 16 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1186 |
| 17 პატი შნიდერი (შვეიცარია) | 979 |
| 18 ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 966 |
| 19 სიბილ ბამერი (ავსტრია) | 940 |
| 20 ნა ლი (ჩინეთი) | 937 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 2 534 430 |
| 2 სერენა უილიამსი (აშშ) | 1 799 034 |
| 3 ვინუს უილიამსი (აშშ) | 1 481 448 |
| 4 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1 381 270 |
| 5 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1 307 255 |
| 6 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1 051 574 |
| 7 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1 001 652 |
| 8 მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 904 081 |
| 9 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 767 565 |
| 10 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 726 232 |
| 11 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)ფ | 606 792 |
| 12 მარა სანტანჯელო (იტალია) | 599 591 |
| 13 ლაიზელ ჰუბერი (სამხრეთ აფრიკა) | 573 156 |
| 14 სარა ბლექი (ზიმბაბვე) | 563 464 |
| 15 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 546 236 |
| 16 შაჰარ პირი (ისრაელი) | 541 780 |
| 17 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 539 284 |
| 18 სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 530 366 |
| 19 კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 509 889 |
| 20 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 492 906 |



სოფო მელიქიშვილი

# მაკას მესამე იტალიური და სამნი ამერიკაში

**პადოვასა და კუნეოს** შემდეგ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი ზედიზედ მესამე იტალიურ ქალაქში ითამაშებს. თანაც, ბიელას თიხნარზე ITF-ის ეგიდით გასამართი შეჯიბრი თავისი დონითა და საპრიზო ფონდით ბევრად აღემატება წინა ორს — თუ პადოვაში საპრიზო 25 ათასი დოლარი იყო, ხოლო კუნეოში — 50 ათასი, ბიელაში კიდევ ორჯერ მეტია და 100 ათასს უდრის.

ამიტომაც, იქ საკმაოდ წარმომადგენლობითი შემადგენლობა შეიკრიბა და ჩახნაშვილისთვის ძირითად ბადეში ადგილი არ გამოინახა. მაკა კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში თავისუფალი იყო. მეორეში ქართველმა 6:2 6:0 გაანადგურა 17 წლისა და რეიტინგში 687-ე ადგილზე მყოფი ანდრეა-როქსანა ვაიდეანუ და მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში 21 წლის ბელარუსს, კლასიფიკაციის 196-ე ნომერს, დარია კუსტოვას ეთამაშება.

ამ კვირაში ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე კიდევ რამდენიმე ჩვენებური თამაშობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ბოსტონის ჰარდზე 50-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და იქ ერთშაბად სამი ქართველია. ამათგან ანა ტატიშვილი ძირითად ბადეშია, ხოლო სალომე დევიძე და სოფო მელიქიშვილი კვალიფიკაციიდან ცდილობენ წინ წასვლას.

დევიძეცა და მელიქიშვილიც წლეულს ძალზე წარუმატებლად თამაშობენ და სასიხარულოა, რომ ბოსტონური შეჯიბრი მათ გამარჯვებებით დაიწყეს. სოფომ 6:2 6:3 მოუგო რეიტინგში 402-ე ადგილზე მყოფ ავსტრიელ ანა ბარტენშტეინს და ახლა კლასიფიკაციის 684-ე ნომერს, ახალზელანდიელ შონა ლის შეხვდება, ხოლო სალომემ რეიტინგის 796-ე ნომერს, ამერიკელ კეიტ კერსონს 6:3 6:2 სძლია და მეორე წრეში მეორე ამერიკელს, კლასიფიკაციაში 494-ე ადგილზე მყოფ ჯენიფერ ტუშბანდს დაუპირისპირდება.

ერთი ქართველი, კერძოდ კი სოფო ქვაცაბაია ითამაშებს სერბეთში, კერძოდ კი პროკუპლიეს თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიან შეჯიბრში. სოფო ტურნირის ძირითად ბადეშია და მისი მეტოქის ვინაობა დღეს გახდება ცნობილი.

# როცა ტიტულისკენ ილტვი და ვერავინ გაჩერებს

## ვინუს უილიამსის მეოთხე და საოჯახო უიმბლდონი

**ორი წლის წინანდელის არ იყოს, ვინუს უილიამსმა კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა და მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულად არავინ აღიქვამდა, უიმბლდონზე მისი მჯობნი მაინც ვერავინ გამოიძებნა. ვინუსმა ლონდონურ სლემტურნირზე უკვე მეოთხედ იჩემპიონა. უფროს უილიამსს გული მხოლოდ იმაზე სწყდება, სერენას ტრავმა რომ არ მიელო, ფინალი ჩვენი ოჯახური საქმე იქნებოდაო. თუმც ვინუსი გვპირდება, რომ მომავალში ასეც მოხდება. ამაზე და სხვა მრავალზე ვინუს უილიამსი ინგლისელ ჟურნალისტებს ესაუბრა**


AFP

**— ეს გამარჯვება, რიგით უკვე მეოთხე, წინა სამზე ტკბილია?**

— არც ისინი იყო ნაკლებად გასახარი, მაგრამ ეს გამარჯვება მართლაც განსაკუთრებულია. წინა შემთხვევებში ტურნირის დასაწყისიდან ვგრძნობდი, რომ საჩემპიონო ფორმაში ვიყავი. წლეულს კი ძალიან ბევრი გამოწვევისა და პრობლემის გადალახვა მომიწია, რაც ამ წარმატებას უფრო დასაფასებელს ხდის. ბოლო მოგებული ჯილდო ახლაც საძინებელში მიდევს და, შეიძლება ითქვას, რომ მასთან მძინავს. შეიძლება ახლა ის ამ პრიზით ჩავანაცვლო.

**— თავს როგორ გრძნობთ?**

— დაღლილი ვარ. ოთხ დღეში ოთხჯერ ვითამაშე, რაც საკმაოდ ძნელი გადასატანია. მაგრამ თავს მაინც ფანტასტიკურად ვგრძნობ — შეიძლება ითქვას, სამყაროს მწვერვალზე ვარ.

**— ბარტოლიმ თქვა, რომ ბალახზე თქვენ დაუმარცხებელი ხართ. მართლაც გირჩევნიათ აქ თამაში სხვა საფარზე გამოსვლას?**

— აქ მართლა კარგად გამომდის თამაში. უბრალოდ, ვიცი რა უნდა ვაკეთო, ტემპი როგორ ვაკონტროლო. კარგად ვგრძნობ, საფარზე დავარდნის შემდეგ ბურთი რა ტრაექტორიით წავა და ასე შემდეგ. მოკლედ, თუ არჩევანის წინაშე დამაყენეს, შენი საყვარელი საფარი რომელიაო, ალბათ მართლა უიმბლდონს ავირჩევ.

**— არ გაქვთ შეგრძნება, რომ ორი განსხვავებული ტურნირი ითამაშეთ? თავიდან ძალიან გაგიჭირდათ და მორიგამისთან კინაღამ დამარცხდით, რის შემდეგადაც სუპერთამაში აჩვენეთ...**

— არა, ასეთი შეგრძნება ნამდვილად არ მაქვს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ისეთი მატჩები, როგორც მორიგამისთან მქონდა, ძალიან საჭიროა, რადგანაც წინააღმდეგობის გადალახვა მენტალურად გაძლიერებს. მეტიც, იაპონელთან მატჩი ალბათ ბედის საჩუქარი იყო, რადგანაც მან მიმაჩვია ძალიან ჩახვეულ და დაბალზე დარტყმულ ბურთებთან გამკლავებას. სწორედ ამიტომ არ გამჭირვებია ბარტოლის დამარცხება, თორემ ამაზე თვით ენინმაც წაიტეხა ცხვირი.

**— ფსიქოლოგიურად არ გაგიჭირდათ ბარტოლისთან თამაშზე განწყობა მაშინ, როცა ფინალში ენინს ელოდით?**

— არანაირად. სლემტურნირის ფინალისადმი ზერელედ მიდგომა როგორ შეიძლება. ამდაგვარ ტურნირებზე თავიდანვე საომრად უნდა იყო განწყობილი და ნებისმიერს უფრთხილდე. აქ საჩუქარს არავინ მოგიძღვნის. ჰოდა, აბა ფინალისთვის როგორ მოვეშვებოდი. თუმც ენინზე გული მწყდება — ვიცი, როგორ უნდოდა უიმბლდონის მოგება და მესმის, ფინალში ვერგასვლა რამხელა იმედგაცრუება იყო მისთვის.

**— ტრავმებით გამოწვეული თითქმის ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ჯერ სერენამ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, აგერ თქვენ კი უიმბლდონი. ამას როგორ ახსნით — თუ ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ, დები უცილობლად უძლიერესები ხართ?**

— ზუსტად ეგრე ვფიქრობ. როცა მომზადების შესაძლებლობა გვაქვს ხოლმე და ფორმაში ვართ, ვერავინ გაგვეჯიბრება. სერენას საერთოდ ჩემზე ნაკლები დრო სჭირდება ფორმის ასაკრეფად. ის ნამდვილი საოცრებაა.

**— წლეულს ბლომად პრობლემები გქონდათ და არ დაფიქრებულხართ მაინც, რომ სლემტურნირს ვერასდროს ველარ მოიგებდით?**

— არა, ასეთი რამ აზრადაც არ გამივლია. საკუთარ თავში ეჭვი არასოდეს შემიტანია.

**— დას ხომ არ ეჯიბრებით, ვინ უფრო მეტ სლემტურნის მოიგებს?**

— ნაწილობრივ. უიმბლდონზე მე უფრო ხშირად მიმარჯვია, მაგრამ მის ანგარიშზე მეტი სლემტიტულია. ეს შეჯიბრი არ არის, მაგრამ ერთმანეთის მოტივატორების როლში კი გამოვდივართ. მან ავსტრალია რომ მოიგო, ვიგრძენი, რომ იგივეს გაკეთება მეც შემეძლო.

**— სერენას ტრავმა რომ არ მიელო, დების მორიგი ფინალის მომსწრენი გავხდებოდით?**

— ამის დიდი შანსი იყო. მაგრამ ბოლოსკენ სერენა იმდენად ცუდად იყო, რომ ბექჰენდს საერთოდ ველარ ურტყამდა. ახლა არ გამოგვივიდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მომავალში კიდევ შევძლებთ ფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ დადგომას.

**— ამდენი პრიზი გაქვთ მოგებული და მაინდამაინც წინა უიმბლდონური ჯილდო რატომ გიდევთ საძინებელში?**

— იმიტომ რომ ის ყველაზე განსაკუთრებული იყო. ორი წლის წინ ჩემი არავის სჯეროდა, ყველამ ჩამომწერა. ნეგატიურ განწყობაზე მაყენებდნენ, მაგრამ ამის უფლება არავის მივეცი. თანაც ლინდსისთან (დევენპორტი) ფინალი ეპიკური გამოვიდა, რამაც წარმატებას მეტი ფასი შესძინა. მხოლოდ მას შემდეგ მივხვდი, რამდენად ძლიერი პიროვნება ვყოფილვარ.

**— თქვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ პირველი ქალი ხართ, ვინც უიმბლდონზე საპრიზოს სახით იმდენივე მიიღებს, რამდენსაც კაცების ჩემპიონი?**

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ჩვენ, ქალები, ვიმსახურებდით ამას. ეს მთლიანად ქალთა ჩოგბურთის გამარჯვებაა და მიხარია, რომ უიმბლდონის ორგანიზატორებმა ეს ნაბიჯი გადადგეს.

**— ფინალში ფეხი სერიოზულად აგტკივდათ?**

— კუნთი დამეჭიმა, რაც სასიამოვნო არასოდეს არის, მაგრამ ფინალის დროს საკუთარ თავს ვუბრძანე, რომ ტკივილისთვის ყურადღება არ მიმექცია — არ მინდოდა, მეტოქეს ეფიქრა, რომ მას მატჩის შემოტრიალების შანსი ჰქონდა. თუმც როცა გახურებული ხარ, მაშინ ტკივილს ნაკლებად გრძნობ — მხოლოდ გასახდელში მივხვდი, რამდენად სერიოზულად დავზიანებულვარ.

**— თქვენი შემდეგი მიზანი რა არის — აშშ-ს ღია პირველობა?**

— არა, ჯერ ფედერაციის თასი. შემდეგ კვირას მატჩია, თან რუსეთს ვეთამაშებით და მაგარი ჯახი უნდა გამოვიდეს. ამიტომ, ჯერ ორი-სამი დღე უნდა დავისვენო და ფეხს მივხედო. თუმც არც აშშ-ს ღია პირველობაზე ვიტყოდი უარს.

**— როგორ აპირებთ გამარჯვების აღნიშვნას?**

— მაგარ წვეულებას მოვაწყობ და კარგ დროსაც გავატარებ. თუმც მანამდე მშობლებთან და ჩემს შტაბთან მელის სადილი.

**— ტურნირის მძიმე დაწყების შემდეგ სიურპრიზი არ არის, ახლა ეს ჯილდო რომ გიჭირავთ?**

— ჩემთვის ეს სიურპრიზი არ არის. მძიმე წელი კი მქონდა, მაგრამ ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი სიტუაციის გამოსასწორებლად. გადატანილი სიძნელეები კი გაძლიერებს და რაღაც ახალს სწავლობ. იგივე „როლან გაროსი" ავიღოთ — არც იქ ვიყავი ცუდ ფორმაში, მაგრამ კორტზე არასწორ გადაწყვეტილებებს ვიღებდი. ამიტომ აქ თამაშისას ვიცოდი, რომ შანსები უფრო კარგად უნდა გამომეყენებინა და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

**— კორტზე პიტ სამპრასი ახსენეთ, როგორც გარკვეული ბიძგის მომცემი. რას გულისხმობდით?**

— მე და სერენა ყოველთვის ვცდილობთ, ვინმეს დავეტოლოთ, ვილაც მაგალითად ვაქციოთ. ყოველთვის ვამბობდით, რომ ძალიან გვინდოდა, სამპრასისნაირად მოგვეწოდებინა — როგორც მან იცოდა, როცა ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ზუსტად და ძლიერად აწოდებდა ხოლმე. ხანდახან მთელი ზაფხული საკუთარ მოწოდებას არ აგებდა. ჩვენც ვფიქრობდით — ჩვენ რატომღა უნდა წავაგოთ? უბრალოდ, ასეთი მაგალითებით ერთმანეთის გამხნევებას ვცდილობთ.

**— მაინც რის ხარჯზე ახერხებთ ამდენი მეიჯორის მოგებას?**

— ალბათ საოცარი მისწრაფების — ტიტულისკენ ლტოლვა ძალიან ძლიერი გრძნობაა.

**— მორიგამისთან მატჩში სწორედ ეს იგრძენით, როცა წაგების პირას მყოფმა ლამის იდეალური თამაში დაიწყეთ?**

— მაშინ უბრალოდ გავიფიქრე, რომ უფრო კარგად შემეძლო თამაში და საკუთარ თავს ვუთხარი, ამ დონის ჩოგბურთელი ასენაადრევად არ უნდა აგებდე-მეთქი. 3:5-ზე უკანდასახევი გზა აღარ მქონდა — უნდა მომეგო, თორემ ერთ შეცდომასაც არავინ მაპატიებდა. ჰოდა, ის გავაკეთე, რაც თავიდანვე უნდა გამეკეთებინა. სულ ეს იყო.

**— მარიასთან (შარაპოვა) შეხვედრისას კორტზე რომელი ვინუსის ხილვას ელოდით — მორიგამისთან თავიდან რომ დაიწყო, თუ ვინც ბოლოსკენ იფრინა?**

— მიყვარს მარიასთან თამაში. ვფიქრობ, გამიმართლა, მასთან შეხვედრა რომ მომიწია. ჩემი სტილი იდეალურად ეწყობა მისას, რის გამოც უპირატესობა ჩემს მხარეს არის ხოლმე.

**— თქვენი უმცროსი დის წაგება დამატებითი მოტივაცია იყო?**

— უეჭველად. მარცხის შემდეგ ის ჩემთან მოვიდა და მითხრა — იცი, ეს ჩემთვის უნდა გააკეთო. შენთვის თუ არა, ჩემი გულისთვის მაინც მოიგეო. ჰოდა, უმცროს დაიკოს იმედებს ხომ ვერ გავუცრუებდი.

ველორბოლა

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# ზედახორა და ბელგიური დუბლი

**ბელგიური** გენტის ქუჩებში, ფინიშამდე 2,7 კილომეტრით ადრე, ათიათასობით ქომაგისგან გარშემორტყმულ ვიწრო დერეფანში ვილაც წაიქცა, მას მეორე დაეჯახა, მესამე, მეოთხე... და საშინელი ზედახორა გაიმართა.

პელოტონის ძირითადი ჯგუფისთის გზა ჩაიხერგა. წინ წასვლა ოციოდე მრბოლმა მოახერხა და მათ შორის ბელგიური „ქვიკ სტეპის" სამი წევრი იყო — გუნდის ბელგიელი ლიდერი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ტომ ბოონენი, მისი თანამემამულე გერტ სტეევმანსი და ჰოლანდიელი სტივ დე იონგი.

დე იონგმა ბოონენზე წაიმუშავა და ჩამორჩა, ხოლო ორნი წინ გავარდნენ — სტეევმანსი თავის ლიდერს გზა უკაფავდა და ამ საქმეში ისე მოინდომა, რომ ფინიშის ხაზი პირველმა, სწორედ მან გადაკვეთა. ბოონენი მხოლოდ მეორე იყო, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ სპრინტის სხვა ჯადოქრები — რობი მაკიუენი, ერიკ ცაბელი და ოსკარ ფრეირე უკან დარჩნენ და უმთავრესი — ბელგიაში ბელგიელმა მოიგო და ასეთი რამ ბოლოს 2001 წელს მოხდა.

ინგლისიდან ლან მანშს გადმოღმა, კონტინენტზე გადმოსული „ტურ დე ფრანსის" ველოქარავანი გუშინ ფრანგული დიუნკერიდან დაიძრა და ბელგიაში გადავიდა. ბოონენი თავიდანვე ყურადღების ცენტრში იყო, რადგანაც ამ ეტაპზე მისი მოტივაცია სრულიად განსხვავებული გახლდათ და ის ახლოსაც იყო გამარჯვებასთან, თუმც საბოლოო ჯამში მაინც კმაყოფილი დარჩა.

ფინიშამდე 37 კილომეტრით ადრე კი პირველი ზედახროა მოხდა და მასში დანიური CSC-ის ლუქსემბურგელი ფრენ შლეკი მოჰყვა. შლეკი პელოტონს მაინც დაეწია და მერე პელოტონიც დაეწია მანამდე გაქცეულებს და ჯგუფური ფინიშისთვის მოემზადა, როდესაც ის საშინელი ზედახორა მოხდა.

რბოლის ფავორიტი ალექსანდრ ვინოკუროვი ღმერთს მადლობას სწირავდა, ამ საშინელებას უვნებლად რომ გადაურჩა, რასაც ვერ ვიტყვით ყვითელი მაისურას მფლობელ შვეიცარიელ ფაბიენ კანცელარაზე, ვინც საკმაოდ სერიოზულად დაშავდა და ჯერაც ლიდერად კი ითვლება, მაგრამ არავინ იცის, შეძლებს თუ არ რბოლის გაგრძელებას.

ერთი კია, რადგანაც ზედახორა ფინიშის სიახლოვეს მოხდა და მასში პელოტონის კარგა გვარიანი ნაწილი მოჰყვა, ორგანიზატორებმა ყველას გამარჯვებულის დრო ჩაუწერეს და შესაბამისად, საერთო ჩათვლაშიც არაფერი შეცვლილა.



ტომ ბოონენი და გერტ სტეევმანსი

**მე-2 ეტაპი. დიუნკერი — გენტი. 168 კმ**

| | |
|---|---|
| 1. გერტ სტეევმანსი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | 3 სთ 48 წთ 22წმ |
| 2. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | |
| 3. ფილიპო როზატო (იტალია, „ლიქუიგასი") | |
| 4. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, „ბარლვორლდი") | |
| 5. რომან ფეილუ (საფრანგეთი, „აგრიტუბელი") | *ყველას იგივე დრო* |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 8 სთ 36 წთ 13 წმ |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +13 წმ |
| 3. დავიდ მილარი (ბრიტანეთი, „სონი დიუვალი") | +21 წმ |
| 4. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „დისქავერი") | +23 წმ |
| 5. ბრედლი ვიგინსი (ბრიტანეთი, „კოფიდისი") | +23 წმ |

კრივი

# ვლადიმირ კლიჩკომ ძველი ვალი გაისტუმრა



**ვლადიმირ კლიჩკომ** გერმანულ კიოლნში ტექნიკური ნოკაუტით ლეიმონ ბრიუსტერი დაამარცხა და წარმატებით დაიცვა ტიტულები. უკრაინელისთვის ამ ბრძოლას ჩვეულზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სამი წლის წინ ვლადიმირმა სწორედ ამ ამერიკელთან დათმო WBO-ს ქამარი. საერთოდ, ის ჯიხი დიდი სკანდალით დამთავრდა, რადგანაც კლიჩკოს შტაბმა ხმამაღლა განაცხადა, ბრიუსტერმა ჩვენიანი მოწამლა და მხოლოდ ამის ხარჯზე მოიგოო. მართალია, იანკის მაშინ ვერაფერი დაუმტკიცეს, მაგრამ კლიჩკო რამდენად მოტივირებული იქნებოდა, თავად მიხვდებით.

ჰოდა, ვლადიმირმა რინგზე საქმით დაამტკიცა, რომ ის მხოლოდ ბრიუსტერზე ძლიერი კი არა, ღღესდღეობით საერთოდ მძიმე წონოსანთა შორის საუკეთესოა. ეს ამ ბრძოლის შემდეგ ლენოქს ლიუსმაც აღიარა და პირდაპირ თქვა, ვლადიმირი „მძიმე წონაში აშკარად დომინანტური ძალა" არისო.

კლიჩკოსადმი ასეთი ეპითეტები მართლაც არ არის გასაკვირი. ამ უქმეებზე მან სამაგალითოდ იჩხუბა და ბრიუსტერი აშკარად დაჩაგრა. ამერიკელმა მხოლოდ პირველ ორ რაუნდში გაიფაფხურა, როცა სწრაფი ნოკაუტის იმედით მივარდა მეტოქეს. კლიჩკომ ამერიკელის ქაოსური შეტევები მშვიდად მოიგერია და მეორე რაუნდის მიწურულიდან მეთოდურად დაიწყო იანკის გალახვა. უკრაინელის მთავარი იარაღი ისევ მისი ჯები იყო — ამ თითქოსდა შემაკავებელი ილეთით ვლადიმირი წარმატებით უტევდა, ხოლო როცა მარჯვენასაც მიაყოლებდა ხოლმე, ბრიუსტერის ყურება საერთოდ საცოდაობა იყო.

კლიჩკომ მესამე და მეხუთე რაუნდებში ორჯერ მიიმწყვდია კუთხეში ამერიკელი და მრავალდარტყმიანი კომბინაციებიც ჩაატარა. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ უკრაინელმა ნოკდაუნამდე არც ერთ მომენტში არ მიიყვანა საქმე, თუმც ბრძოლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ვლადიმირს მეორე რაუნდში მარცხენა ხელის შუათითი მოეტეხა და ამიტომაც ფრთხილობდა.

ასეა თუ ისე, ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძლებულა — მწვრთნელმა ბრიუსტერი მეექვსე რაუნდის შემდეგ რინგზე აღარ გაუშვა და კლიჩკოსაც ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაეთვალა. ამერიკელის შტაბის წარმომადგენელი მერე ამბობდა, ლეიმონი ძალიან დაღლილი იყო და მეტოქეს ველარ დაანოკაუტებდა, ქულებით კი უკვე ისედაც მაგრად აგებდა და უბრალოდ, ჩვენიანს ექვსი რაუნდის განმავლობაში ცემა ავაცილეთ თავიდანო.

კლიჩკო კი ახლა ალბათ რომელიმე სხვა ვერსიით ჩემპიონთან ჯახს უმიზნებს — ქამრების გაერთიანება ხომ მისი დიდი ხნის ოცნებაა.

**კახა ლომჯარიძე**

ჭადრაკი




# ანანდმა ლეონში რვიანი დახაზა

**ვიშვანათან ანანდმა** ლეონის ტურნირი ზედიზედ მეოთხედ მოიგო. ფინალში მან მსოფლიოს ექსჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი 3:1 დაამარცხა და ტურნირის რვაგზის გამარჯვებული გახდა.

შევახსენებთ, რომ გათამაშებას ესპანეთის ძველმა სატახტო ქალაქმა ლეონმა უმასპინძლა და რიგით მე-20 იყო.

წლევანდელ შეჯიბრში ფიდეს ოთხი ექსჩემპიონი მონაწილეობდა და ოლიმპიური სისტემით ჩატარდა.

პირველ დღეს ანანდი რუსლან პონომარიოვს დაუპირისპირდა და მეტოქე 3:1 მიანგრია, მეორე დღეს კი ტოპალოვმა რუსტამ კასიმჯანოვი 2,5:1,5 დაამარცხა.

ფინალში პირველად თეთრი ფიგურები ტოპალოვს ერგო, თუმც უპირატესობა ვერ გამოიყენა და ინდუსს 49-ე სვლაზე დაუზავდა. მეორე პარტია ანანდმა მოიგო, მესამე კი ყაიმით დასრულდა.

ბოლო, მეოთხე შეხვედრაში ტოპალოვს მოგება სჭირდებოდა და თავიდანვე იერიშებს მიმართა. ანადმა წყნარად და აუღელვებლად გაგრძელა პარტია, ტოპალოვი შეცდომაზე გამოიჭირა და 29-ე სვლაზე მეორე მარცხი აგემა.

**ლუკა გეგეჭკორი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge